ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოში შემოტანილ თურქულ ქათამში პათოგენები აღმოაჩინეს

საქართველოში სომხეთიდან იმპორტირებულ, თურქული წარმოების ქათმის ხორცში პათოგენები აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

– სომხეთიდან იმპორტირებული თურქული წარმოების ქათმის გაყინულ და მექანიკურად განცალკევებული ხორციდან აღებულ ნიმუშში შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს ვეტერინარებმა პათოგენები, მათ შორის სალმონელები აღმოაჩინეს, რაც დაუშვებელია. ინფორმაცია, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, მიეწოდა სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, – აცხადებენ უწყებაში.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მავნებელი სურსათი განადგურებას ან უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას ექვემდებარება.

28 თებერვალი – 1 მარტი, 2015 №48 (6668) ფასი: 30 თეთრი

# „კვირიკაშვილმა, წულუკიანმა და სუბარმა გადადგომა მოითხოვეს!“



გვ.4




კახა კუკავა: „ივანიშვილთან გვაქვს შეკითხვები და მოგვისმინოს!“



## გიორგი ქადაგიძე: „ყველამ შეწყვიტეთ ეროვნულ ბანკზე თავდასხმა“

გვ.2

ლარი დოლარის მიმართ 8 პუნქტით გამყარდა. კურსი 2.16 გახდა

მინდა, დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ სანამ მე და ჩემი გუნდი ეროვნული ბანკის სათავეში ვართ, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმავე შეცდომების გამეორებას, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ არაერთხელ დაუშვა.

## ბანკებს მიწის გაყიდვის უფლება არ უნდა მივცეთ!



გვ.5

მთელი აფხაზეთი და სამაჩაბლო მილიარდნახევარი ლარის ღირებულებისაა



ISSN 1987-9385

## ვინ ჩაანაცვლებს ჩაფიძეს და ქუცნაშვილს

გვ.3

„ქართული ოცნება“ ახალ სახეებს ეძებს



## „ვადამდელ არჩევნებს აზრი არა აქვს“

გვ.5

დავით ჟღენტი: „ნაცმოძრაობა გაზაფხულზე გააქტიურდება“



# გიორგი ქადაგიძე: „ყველამ შეწყვიტეთ ეროვნულ ბანკზე თავდასხმა“

## ლარი დოლარის მიმართ 8 პუნქტით გამყარდა. კურსი 2.16 გახდა

ნათია ხურცილავა



**ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ გუშინ, 27 თებერვალს, საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ქადაგიძემ პრესკონფერენცია ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის საპასუხოდ დანიშნა. ქადაგიძემ განაცხადა, რომ ახლა განტევების ვაცის ძებნის დრო არ არის, ახლა დროა სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმის, რომლის მიზანიც სავალუტო შემოდინებების ზრდა უნდა იყოს, რაც, საბოლოო ჯამში, ლარის კურსის შემდგომ გამყარებას გამოიწვევს.**

**მინდა, დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ სანამ მე და ჩემი გუნდი ეროვნული ბანკის სათავეში ვართ, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმავე შეცდომების გამეორებას, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ არაერთხელ დაუშვა.**

**გიორგი ქადაგიძე:**

– 26 თებერვლის განცხადება და მთლიანად დღე, მით უფრო გაუგებარია, როდესაც სავალუტო ბაზარზე სტაბილიზაცია აშკარად შეინიშნება. მინდა შეგახსენოთ, რომ გუშინდელი განცხადებების კასკადამდე სავალუტო აუქციონზე გარიგებები 2.16 კურსით დასრულდა, რაც სავალუტო კურსის სტაბილიზაციაზე და იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერი სწორად და დამშვიდებისკენ მიდის. მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, მთავრობისა და მმართველი პოლიტიკური კოალიციის წარმომადგენლებს, მყისიერად შეწყვიტონ თავდასხმა ეროვნულ ბანკზე. ასეთი თავდასხმები პირველ რიგში ვნებს და აზიანებს არა მე, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, არამედ ურტყამს ქვეყნის ეკონომიკას, ვნებს ინვესტორების ოჯახებს და კონტრპროდუქტიულია იმ პროცესების პარალელურად, რომლებიც დღეს ვითარდება. ახლა გადაბრალების, განტევების ვაცის ძებნის დრო არაა, ახლა დროა სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების განხორციელების, რომლის მიზანი იმ წყაროებიდან, რომელზეც ჩვენ გავლენა გვაქვს, სავალუტო შემოდინებების გაზრდა უნდა იყოს, რაც, საბოლოო ჯამში, ლარის კურსის შემდგომ გამყარებას გამოიწვევს და შვებას მისცემს ჩვენს იმ თანამოქალაქეებს, რომლებსაც მნიშვნელოვნად დაუმძიმდათ სესხის ტვირთი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლარის გაუფასურება ფუნდამენტურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა გამოიწვია.

**გიორგი ქადაგიძე:**

– სამწუხაროდ, ლარი 30%-ით გაუფასურდა. ამან გარკვეული პერიოდის მერე ასახვა დაიწყო უკვე იმპორტზე. შესაბამისად, ჩვენ ველოდებით იმპორტის შემცირებას, რაც ასევე შეამცირებს კურსზე ნეგატიურ გავლენას, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას და ლარს ექნება სტაბილიზაციის და შემდგომი გამყარების ტენდენცია.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სავალუტო რეზერვების ხარჯვასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს და აცხადებს, რომ არსებობს მცდელობა, საზოგადოება დარწმუნდეს, თითქოს რეზერვების ხარჯვა გამოსავალია.

ქადაგიძის განმარტებით, საქართველომ 1990-იანი წლების დასაწყისში არაერთხელ დაუშვა შეცდომები და ისინი იმავე შეცდომების დაშვებას არ აპირებენ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოლდოვისა და აზერბაიჯანის მაგალითზე ამტკიცებს, რომ სავალუტო რეზერვების ხარჯვა კონტრპროდუქტიული და უშედეგოა.

**გიორგი ქადაგიძე:**

– სავალუტო რეზერვები ჩვენი აქტივი და ის დოვლათია, რომელსაც ვქმნით მთელი წლის განმავლობაში და რომელიც ჩვენი ფინანსური სტაბილურობის მთავარ გარანტს წარმოადგენს. ჩვენი თანმიმდევრული პოლიტიკა სწორედ რეზერვების დაგროვებისა და მართვის მიმართულებით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერაა აღიარებული, მათ შორის, სავალუტო ფონდის მიერ. რეზერვებით ფუნდამენტური ფაქტორების ჩანაცვლება, კონკრეტულად კი ექსპორტის, გზავნილების, ტურიზმის ჩანაცვლება კონტრპროდუქტიული და უშედეგოა. ამაზე მეტყველებს უამრავი საერთაშორისო მაგალითი, მათ შორის ბოლო დროს განვითარებული მაგალითი. იმავე მოლდავეთში ეროვნულმა ბანკმა ერთ მილიარდამდე ინტერვენცია გააკეთა, თუმცა, ამის მიუხედავად, აღნიშნული ქვეყნის ვალუტის კურსი თითქმის 40%-ით გაუფასურდა. ჩვენზე გაცილებით მდიდარმა ქვეყანამ, აზერბაიჯანმა, 2-მილიარდიანი უშედეგო ინტერვენციების შემდეგ კურსის თავისუფალ, მცურავ რეჟიმში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო და აზერბაიჯანული მანათი ასევე 34%-ით გააუფასურა. ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, ამ მიმართულებით შეცდომები დავუშვათ. 90-იანი წლების დასაწყისში შეცდომები არაერთხელ დაგვიშვია და იმავე შეცდომების გამეორებას ახლა არ ვაპირებთ. მინდა, დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ სანამ მე და ჩემი გუნდი ეროვნული ბანკის სათავეში ვართ, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმავე შეცდომების გამეორებას, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ არაერთხელ დაუშვა.

***

### რა წვლილი მიუძღვის ეროვნულ ბანკსა და მის პრეზიდენტს ეროვნული ვალუტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში?

ბიძინა ივანიშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი 26 თებერვალს გავრცელებულ განცხადებაში გააკრიტიკა. ივანიშვილის განცხადებაში ნათქვამია, რომ ქვეყანა ეროვნული ვალუტის კრიზისამდე ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის უმოქმედობამ მიიყვანა.

– სწორედ ეროვნული ბანკის კომპეტენცია და პირდაპირი მოვალეობა იყო სიტუაციის სწორად მართვა, რათა საქმე არ მისულიყო არაადეკვატურ განვითარებამდე. ჩვენ კი დავინახეთ საწინააღმდეგო, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნულმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ, თავისი უმოქმედობითა და არასწორი ქმედებებით ეროვნული ვალუტის კრიზისამდე მიგვიყვანა. – ამბობდა ივანიშვილი თავის განცხადებაში.

**გიორგი ქადაგიძე:**

– მე მინდა, დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, სანამ მე და ჩემი გუნდი ვართ ეროვნული ბანკის სათავეში.

ჰქონდა თუ არა ეროვნულ ბანკსა და მის პრეზიდენტს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პრობლემა ხელისუფლებასთან?

**მთავარი ბანკირი პასუხობს:**

– მთავრობასთან ურთიერთობა მომავალშიც ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. იმედია, მომავალში ბანკის არგუმენტები უფრო მკვეთრად იქნება გაანალიზებული. ჩვენს მოსაზრებებს როგორც აქამდე, მომავალშიც აუცილებლად გავანდობთ მთავრობას. კონსტიტუციური მანდატის პირობებში ეროვნული ბანკი მთავრობის მრჩეველია. რჩევების მიცემა და სიტუაციის ანალიზის კეთება ჩვენ არასდროს შეგვიწყვეტია.

კითხვაზე, თუ რამ განაპირობა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის წევრების 26 თებერვლის განცხადებები, რომელსაც ადგილი მანამდე არ ჰქონია, ქადაგიძემ აღნიშნა, რომ ამ კითხვის ადრესატები განცხადებების ავტორები არიან და მათთვის ეროვნული ბანკის პოზიცია აქამდეც იყო ცნობილი.

– ჩვენ მუდმივად გვქონდა კომუნიკაცია მთავრობასთან და ასეთი ტიპის ბრალდებებს აქამდე ადგილი არ ჰქონია. – განაცხადა ქადაგიძემ.

ქადაგიძის განცხადებით, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ბანკი პოლიტიკურ კომენტარებს არ აკეთებს და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

ბიძინა ივანიშვილის განცხადების საპასუხოდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა იმ პოზიციებზე ისაუბრა, რომლებსაც ეროვნული ბანკი აფიქსირებდა, თუმცა მთავრობა ხშირ შემთხვევაში მას არ ითვალისწინებდა.

**გიორგი ქადაგიძე:**

– ჯერ კიდევ 2013 წლის დასაწყისში ჩვენ განვაცხადეთ, რომ იმ წლის ზრდის პროგნოზი ოპტიმისტური იყო და გადახედვას საჭიროებდა. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი არგუმენტები მოსმენილიყო, მივიღეთ ცილისწამების პირველი ტალღა და დაგვადანაშაულეს პოლიტიკურ საბოტაჟში. სამწუხაროდ, ჩვენი პროგნოზი გამართლდა და 2013 წლის ბოლოს განახევრებული ზრდა მივიღეთ. ამავე წლის ზაფხულიდან არაერთ დახურულ თუ ღია შეხვედრაზე გამოგვიცხადებია, რომ არათანაბარ ხარჯვას გაცვლით კურსზე უარყოფითი შედეგი აქვს და წარმოადგენს პრობლემებს. სამწუხაროდ, აქაც ჩვენი პროგნოზი გამართლდა და წლის ბოლოს ლარის კურსზე ზეწოლა მივიღეთ. იმისთვის, რომ კურსის დევალვაცია არ მომხდარიყო, ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინტერვენცია განახორციელა. ჩვენ მაშინ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ, ვინაიდან პრობლემა ერთჯერადი ფაქტორებით იყო გამოწვეული. 2014 წლის აგვისტოდან, როდესაც ჯერ კიდევ ტურისტული პიკის სეზონში სავალუტო რეზერვების აკუმულირება ვერ მოვახერხეთ, ხოლო ამის მერე ექსპორტის შემცირებისა და იმ პრობლემების, რომლებიც, სავარაუდოდ, თავს იჩენდა, პირველი ნიშნები გამოჩნდა. სამწუხაროდ, შემდგომ თვეებშიც ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლების არგუმენტები იყო გათვალისწინებული, რომლებიც ამბობდნენ, რომ ყველაფერი კარგადაა და არავითარი ფუნდამენტური პრობლემა არ არსებობს. ჩვენი არგუმენტების მოსმენის ნაცვლად მივიღეთ ნიაღვარი შეკვეთილი სტატიებისა და ახლად გამოჩენილი ექსპერტების განცხადებები, რომლებიც ცდილობდნენ, ეროვნულ ბანკზე მორიგი შეტევა განეხორციელებინათ.



კითხვაზე, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ხომ არ შეიძლება, რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდოს? ქადაგიძემ აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკი პროცესებზე ადეკვატურ რეაგირებას ახდენს და პოლიტიკას საუკეთესო, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართავს.

**გიორგი ქადაგიძე:**

– რეფინანსირების განაკვეთის გაზრდას, ისევე, როგორც სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ, ერთი მთავარი მიზანი აქვს – შემცირდეს ქვეყანაში ფულის მასა. ფულის მასის შემცირება ნიშნავს ნაკლებ გაყიდვებს, ნაკლებ ეკონომიკურ აქტივობას, გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებს და ა.შ. მაშინ, როდესაც ფულის აგრეგატების ზრდა ისედაც მინიმალურია, ასეთი ტიპის ნაჩქარევი გადაწყვეტილებები უარეს შედეგებამდე მიგვიყვანს.

***

### სესხის გადავადება არ არის პრობლემის ფუნდამენტური მოგვარება

პრესკონფერენციაზე ქადაგიძემ კვირიკაშვილსაც უპასუხა. ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ბოლო კვირისგანმავლობაში, როდესაც სწრაფი დევალვაცია მოხდა, ეროვნულ ბანკს ლარის გაუფასურების ემოციური შემადგენლის განეიტრალებაში მეტი წვლილის შეტანა შეეძლო.

**გიორგი ქადაგიძე:**

– უარყოფითი ეკონომიკური მონაცემების პირობებში, ადგილი აქვს გაუფასურებას. აჟიოტაჟური ქცევა ბაზრის მონაწილეების მხრიდან სავსებით ნორმალური მოვლენაა. ეს ეკონომიკური ანბანია. აჟიოტაჟურ ქცევას სწორი კომუნიკაცია და გზავნილები შველის და არა გაზრდილი ინტერვენცია. ამასთანავე, კიდევ უფრო დიდი რყევების თავიდან აცილების მიზნით, თებერვალში ჩვენ სავალუტო რეზერვის 120 მილიონი დოლარი დავხარჯეთ, მაგრამ ამ ინტერვენციის დანიშნულება იმ მერყეობის თავიდან აცილება იყო, რომელიც გამოწვეული იყო იმ პროცესებით, რომლებიც ჩვენ მივიღეთ. ამიტომ ბრალდება, რა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებულია.

ქადაგიძემ პრესკონფერენციაზე ასევე უპასუხა იმ ექსპერტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი ობშორებში, ობლიგაციებზეა მიმართული.

ქადაგიძის განმარტებით, ეროვნული ბანკის აუდიტს საერთაშორისო აუდიტორული ფირმა ყოველწლიურად ახორციელებს, რომლის მონაცემებიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა განთავსებული და მთელი ამ წლების განმავლობაში არანაირი გადახრა არ დაფიქსირებულა.

**გიორგი ქადაგიძე:**

– ძალიან გთხოვთ, სიტყვა ექსპერტს ნუ გავაუფასურებთ, რადგან ძალიან საეჭვო რეპუტაციის ადამიანები აბსოლუტურად არაადეკვატურ, მცდარ და ცრუ განცხადებებს აკეთებენ. ამიტომ ჩემთვის ისეთ განცხადებებზე, რომლებიც ყველანაირ საფუძველს არის მოკლებული, კომენტარიც კი რთულია. ეროვნული ბანკის აუდიტს საერთაშორისო აუდიტორული ფირმა ყოველწლიურად ატარებს. იგი გამოქვეყნებულია ჩვენს ვებგვერდზე და რაიმე ფორმის გადახრა მთელი ამ წლების განმავლობაში არ ყოფილა. პირიქით, ჩვენი თანმიმდევრული, ზომიერი პოლიტიკა აღიარებულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ამიტომ ასეთი ტიპის ბრალდებებზე, რომელსაც ბრალდებებსაც ვერ დავარქმევ, მე ნამდვილად კომენტარს ვერ გავაკეთებ.

ასევე გუშინ გახდა ცნობილი, რომ ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მიერ შემუშავებულ სქემას ერთი კვირის განმავლობაში განიხილავს.

**გიორგი ქადაგიძე:**

– მინდა, ცალსახად აღვნიშნო, რომ სესხის გადავადება არ არის პრობლემის ფუნდამენტური მოგვარება, ეს არის მხოლოდ დროებითი გადაწყვეტა, რომ მომდევნო თვეებში სესხის მომსახურების ტვირთი მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს. პრობლემის ფუნდამენტური გადაწყვეტა არის ეკონომიკაში სავალუტო ნაკადების აღდგენა, რომელიც გამოიწვევს ზეწოლას უკვე ლარის გამყარებაზე. ლარი გამყარდება და, შესაბამისად, ყოველთვიური გადასახდელი თანხა შეუმცირდება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც სესხი აქვთ დოლარში და შემოსავალი კი – ლარში.

25 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს სთხოვა, ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ გეგმა, თუ როგორ შეუმსუბუქონ ტვირთი ფიზიკურ პირებს, რომლებსაც სესხი დოლარში აქვთ, შემოსავალი კი – ლარში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ ჩაანაცვლებს ჩაფიძეს და ქუცნაშვილს

## „ქართული ოცნება“ ახალ სახეებს ეძებს

შორენა მარსაგიშვილი

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მძიმე დრო დაუდგა. მეოცნებეები მათ რიგებში არსებულ დაპირისპირებაზე უკვე ღიად საუბრობენ. აქამდე ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი მედიის მიერ იყო მოგონილი. ახლა ისეთი ამბები სკდება, სიზმარშიც რომ არავის დასიზმრებია. როგორც ამბობენ, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომა სულ წივილ-კივილით მთავრდება. გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში რამდენიმე დეპუტატმა შესაძლოა პარტია დატოვოს.

განსაკუთრებული უკმაყოფილება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის მიმართ არის. მისი მისამართით განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები ამჟღავნებენ. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა დღის წესრიგში მისი გადაყენების საკითხიც დადგეს. ფრაქციის წევრებს საგანელიძის მიმართ ბევრი პრეტენზია დაუგროვდათ. ამ საკითხზე ისინი უკვე ღიად საუბრობენ. ამაზე ხმამაღლა ზაქარია ქუცნაშვილთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ალაპარაკდნენ.

ამ საკითხზე განცხადება პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემაც გააკეთა. მან დავით საგანელიძე დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის უფლებების დარღვევასა და ინტრიგებში დაადანაშაულა.

— ლორთქიფანიძის განცხადებით, საგანელიძე მისივე უმრავლესობის ზურგს უკან არაკონსტიტუციურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

– ნინო გვენეტაძის მიმართ ჩემი სიმპათიები მე ადრეც გამოვხატე. ჯერ კიდევ 2013 წელს ვაცხადებდი ინტერვიუებში, რომ მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მოვიაზრებდი. რაც შეეხება თავად კანდიდატების ინიცირებას, მე ვთვლი, რომ მე-14 მუხლის უგულებელყოფა მოხდა. ქუცნაშვილის კანდიდატურას, რომელიც სამასამდე არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერილი იყო, მხარი არ დაუჭირა საკუთარმა უმრავლესობამ.

ეს იმ პირობებში, როდესაც 18 ადამიანის ხელმოწერით შევიდა პეტიცია, რომლის თანახმადაც აღმოჩნდა, რომ არავითარი კრიტერიუმები უმრავლესობასა და პრეზიდენტს შორის განხილული არ ყოფილა. გამოდის, რომ საგანელიძე საკუთარი უმრავლესობის ზურგს უკან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ე.წ. კრიტერიუმებზე, რომელიც ანტიკონსტიტუციურია თავისი არსით და პირდაპირ მიმართული იყო მისთვის არასასურველი კანდიდატის, ზაქარია ქუცნაშვილის ამბიციების ჩასახშობად. მან უხეშად დაარღვია მისივე უმრავლესობის წევრის სრულიად კანონიერი უფლება, დასახელებული და მხარდაჭერილი ყოფილიყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე, – აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

საგანელიძეს ქუცნაშვილზე ალერგია რომ აქვს, ეს არაერთხელ დადასტურდა. ის ყველაფერს აკეთებს, რომ მომავალი არჩევნებისთვის ქუცნაშვილი „ქართულ ოცნებაში“ აღარ იყოს. ეს საგანელიძემ საკუთარი პირითაც აღიარა.

უმრავლესობის ლიდერი არ გამორიცხავს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე მმართველი კოალიცია სხვა კონფიგურაციით წარდგეს. საგანელიძის თქმით, კონფიგურაცია შეიცვლება და მეტიც, უმრავლესობის ბევრი წევრი დეპუტატი აღარ იქნება.



– ცხადია, ამ კონფიგურაციით აღარ იქნება, ამ კონფიგურაციაში უმრავლესობის ძალიან ბევრი დეპუტატი აღარ იქნება, მათ შორის ქუცნაშვილიც და დათო საგანელიძეც, – აცხადებს უმრავლესობის ლიდერი გაზეთ „რეზონანსთან“ საგაზეთო ინტერვიუში.

გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში სხვა დეპუტატებიც ველარ მოხვდებიან. ამ მხრივ შარშია გახვეული ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძეც. მას ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი ირაკლი ტრიპოლსკი უპირისპირდება.

რამდენიმე კვირის წინ მას ტყიბულში ამომრჩევლებთან შეხვედრა ჰქონდა, სადაც მოსახლეობას დაპირდა, რომ მომდევნო არჩევნებზე რაიონს ახალ მაჟორიტარს შესთავაზებენ. ეს ამბავი ჩაფიძემ გაიგო და ტრიპოლსკის ფრაქციის სხდომაზე სულ შავი დღე აყარა.

ვინ ჩაანაცვლებს ელისო ჩაფიძეს, ჯერ ცნობილი არ არის, სამაგიეროდ, ქუცნაშვილის შემცვლელია ცნობილი, ის თამაზ მეჭიაური იქნება.

„ქართული ოცნება“ ახალ სახეებს რომ ეძებს, ეს დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამაც დაადასტურა. მისი თქმით, აუცილებელია პარტიაში მეტი პროფესიონალი და იდეისთვის მებრძოლი ადამიანები იყვნენ.

– პარტია „ქართული ოცნება“ მშენებლობის პროცესს იწყებს და ამ კუთხით აქტიურდება. ამდენი არჩევნების ფონზე, პარტიის მშენებლობისთვის დრო არ იყო. იწყება ახალი სახეების მოზიდვა, მაგრამ ის, რომ ისინი აუცილებლად მოაზროვნეებიდან უნდა იყვნენ, ასე არ არის. მათგანაც შეიძლება რამდენიმე ადამიანის შერჩევა. ვიცი, რომ მოსიძესთან იყო ამ საკითხზე საუბარი, თუმცა არ ვიცი, როგორია მოსიძის პოზიცია. აუცილებელია ახალი სახეები, პროფესიონალები, ინტელექტუალები, რომლებიც პარტიაში სხვა სიცხადეს შეიტანენ. 2011 წელს საომარი მდგომარეობის გამო ხალხის შეკრების ერთადერთი პრინციპი იყო, რომ ჩვენთან დამდგარიყვნენ. დღეს ეს ამოცანა დაძლეულია და ახლა სხვა ამოცანების წინაშე ვდგავართ. საჭიროა იმ ადამიანების მოძიება, რომლებიც იდეისთვის და საკუთარი ქვეყნის უკეთესი დღისთვის საბრძოლველად მოვლენ, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

***

პოლიტიკურ გაუგებრობაში მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძეც გაეხვია. სხვათა შორის, ის ერთ-ერთი იმ დეპუტატთაგანია, რომელმაც დავით საგანელიძის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხუნდაძის კაბინეტში საიდუმლო სერობები იმართება. დეპუტატი ამით აღშფოთებულია. მან საგანგებო განცხადებაც გაავრცელა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამძაფრდა მედიის ყურადღება საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით არსებულ სიტუაციაზე. იმდენად შორს წავიდნენ, რომ ჩემს კაბინეტში დეპუტატებთან მეგობრულ შეხვედრას „საიდუმლო სერობაც“ კი უწოდეს. სახეზეა მცდელობა, რომ ჩვენ მიერ ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თემაზე დაწყებული მსჯელობა პოლიტიკურ კინკლაობაში გადაიყვანონ. ამის საბაბს დეპუტატებიც აძლევენ, რომელთაც ერთმანეთის მიმართ მეტი კორექტულობისკენ მოვუწოდებ. ამასთანავე, მიუღებელია საერთო, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი პირადი ინტერესებისთვის გამოიყენო.

იმის ნაცვლად, რომ მედია-საშუალებებმა იმსჯელონ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ პროგრამაზე, კონკრეტულ საკითხებზე და ეს საჯარო დისკუსიის საკითხი გახადონ თუნდაც დეპუტატებში, საუბრობენ მხოლოდ იმაზე, ვინ აძლევს ხმას ქალბატონ ნინო გვენეტაძეს და ვინ იკავებს თავს კონკრეტული მოსაზრებების გამო. ეს არ არის არც სახელმწიფოებრივი და არც პროფესიული მიდგომა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ვირჩევთ სასამართლოს 10-წლიან მმართველს, ვისი არჩევის საშუალებაც, სავარაუდოდ, შემდგომი ორი მოწვევის პარლამენტსაც კი არ ექნება. ბუნებრივია, არსებობს კითხვები, მოსაზრებები და პირადი შეხედულებები. გასაკვირი ის არის, ვინც ასე სწრაფად და იოლად იღებს გადაწყვეტილებას ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

რაც შეეხება უმრავლესობის შიგნით მიმდინარე მოვლენებს, ეს ცოცხალი პროცესია და პოლიტიკოსების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებები არ შეიძლება მოსახლეობას მიაწოდო ბუნტად ან ამბოხად რომელიმე პიროვნების ან პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ. აზრთა სხვადასხვაობა არ ნიშნავს განხეთქილებას. ჩვენ ვებრძოდით ისეთ რეჟიმს, სადაც დემოკრატიულობას თამაშობდნენ და რეალურად, ერთი პოლიტიკური გუნდის ყველა წევრი „გუნდურობის“ საჩვენებლად ერთი და იგივე დაზუთხული ტექსტებით საუბრობდნენ. ვერც იმას ბედავდნენ, რომ ვინმეს კაბინეტში ღიად და ხილულად კონკრეტულ საკითხზე, მსგავსი მოსაზრების მქონე პიროვნებები თუნდაც ყავაზე შეკრებილიყვნენ. ამაყად ვაცხადებ, რომ ეს დრო დამთავრდა.



რაც შეეხება მედია-საშუალებებს, მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ყველა ჟურნალისტის მიმართ, დღევანდელი საინფორმაციო საშუალებები მეტად უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს. მოხარული ვიქნებოდი, რომ ასეთივე ინტერესით იღებდნენ ტელევიზიები ჩემს კაბინეტში შემოსულ ცნობილ დემოგრაფებს, სადაც ქვეყანაში არსებულ უმძიმეს პრობლემაზე ვსაუბრობთ; ასევე ცნობილ ფინანსისტებს, ეკონომისტებს, ჯანდაცვის ექსპერტებს, სადაც საარსებო მინიმუმზე, საპენსიო რეფორმაზე და სხვა უმნიშვნელოვანეს თემებზე ვმსჯელობთ და ვიღებთ გადაწყვეტილებებს. სამწუხაროდ, ეს საკითხები ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, სადაც დიდი დოზით შუქდება პოლიტიკური თუ პირადი ინტრიგები.

მივმართავ ჟურნალისტებს: – „საიდუმლო სერობა“ ჩემს კაბინეტში თითქმის ყოველ დღე იმართება ქვეყანაში არსებული მძიმე პრობლემების დასაძლევად, სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ და შემდგომ მოსახლეობას გადასცეთ მათთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო თემები.

## ლაგოდეხის სკვერში ერთ-ერთი ქვის ნატეხი ბიუჯეტს 15 ათასი ლარი დაუჯდა

ქვის ნატეხი, რომელიც ლაგოდეხში, 2012-2013 წლებში რეაბილიტირებულ სკვერში დევს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს 15 ათასი ლარი დაუჯდა.

რადიო „ჰერეთის“ ინფორმაციით, ქვაზე ლაგოდეხის გერბი და ბოლნისის ჯვარია ამოტვიფრული. თავად ქვა კი, ლაგოდეხში მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილიჯლოდან ჩაიტანეს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გიორგი ბოკერიას განცხადებით, თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ თავადაც არკვევს რატომ და რაში იქნა გადახდილი 2012 წელს ეს თანხა, თუმცა ჯერ პასუხი ვერ მიიღო.

ლაგოდეხის ყოფილი გამგებელი ვალერი ალიბეგაშვილი კი, რომელმაც რეაბილიტირებული სკვერი ჩაიბარა, აცხადებს, რომ გამგებლად მოსვლის დროს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა უკვე მომზადებული დახვდა და კონკრეტულ დეტალებში რამდენი იქნა გადახდილი, – მისთვისაც უცნობია.

ნიუსპრესი



## ბაღდათში გამგებლის გადადგომას მოითხოვენ

ბაღდათის გამგეობის წინ მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. ადგილობრივები გამგებელ ირაკლი გეგეშიძეს ნეპოტიზმსა და პარტიული ნიშნით თანამშრომლების გათავისუფლებაში, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებასა ადანაშაულებენ და მის გადადგომას მოითხოვენ.

აქციის შემდეგ ყოფილი გამგებელი და გამგეობის ყოფილი თანამშრომლები მოქმედ გამგებელს საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეხვდნენ, რა დროსაც მათ შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

მოქმედი გამგებელი უარყოფს ბრალდებებს და ამბობს, რომ რეორგანიზაცია გამგეობაში კანონიერად ჩატარდა.

– ჩემთვის არავის მოუმართავს ნეპოტიზმის კონკრეტული მაგალითებით. მზად ვარ, 24-საათიან რეჟიმში ნებისმიერ საკითხი განვიხილო’, – აცხადებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი გეგეშიძე.

მედიანიუსი



## ნინო ბურჯანაძე: „ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილს კარგ დღეს არ დააყრის“

პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მას ეჭვი გაუჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ადგილი გარიგებას აქვს.

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში განაცხადა.

– სიმართლე გითხრათ, გამიჩნდა ეჭვი, რომ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის გარიგებაა, იმიტომ, რომ ასეთ უსუსურობას და ასეთ არაკომპეტენტურობას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. დღეს ეჭვი გარიგებასთან დაკავშირებით, შედარებით ნაკლები მაქვს, მე მგონი უფრო აბსოლუტურ არაკომპეტენტურობასთან და უვიცობასთან გვაქვს საქმე, იმიტომ, რომ კარგად უნდა ესმოდეს ბიძინა ივანიშვილს, თუ სასწაული მოხდება და „ნაციონალური მოძრაობა“ მობრუნდება, ნამდვილად არ ჩააგდებს კარგ დღეში არც მას და არც მისი გუნდის ზოგიერთ წევრს.

ეს ყველას არ შეეხება, რადგან ზოგიერთი ძალიან შეხმატკბილებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მშვენივრად იყვნენ თავის დროზეც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ახლაც მშვენივრად არიან. ლევან ბერძენიშვილი ახლაც მისტირის „ნაციონალურ მოძრაობას“ და წუხს იმაზე, რომ ის ვერ გამყარდა და გაძლიერდა ისე, როგორც ეს სასურველია, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „კვირიკაშვილმა, წულუკიანმა და სუბარმა გადადგომა მოითხოვეს!“

## კახა კუკავა: „ივანიშვილთან გვაქვს შეკითხვები და მოგვისმინოს!“

ნონა ცაბაძე



**ქვეყანაში არსებული კრიზისული ფონის პარალელურად გააქტიურდნენ ოპოზიციური პარტიები, რომლებიც აქციებს მართავენ და ეკონომიკური გუნდის გადადგომას მოითხოვენ. „ახალი თაობა“ აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორის „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს, კახა კუკავას ესაუბრა:**

***— ბატონო კახა, ბოლო დღეებია ძალიან აქტიური ხართ, გამოდიხართ ხელისუფლების წინააღმდეგ. რა ხდება, ასე რატომ გააქტიურდით?***

— თუ რა ხდება, კარგად ვხედავთ, ეს მეტყველებს ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაზე. რაც მთავარია, მათი მხრიდან არ ჩანს ადეკვატური ნაბიჯები, ჩანს მხოლოდ გადაბრალების და პასუხისმგებლობის მოხსნის სურვილი. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს პატარა ბავშვების ონავრობას, რაღაცას რომ დააშავებენ და მერე ერთმანეთს აბრალებენ. სწორედ ამას ჰგავდა ივანიშვილის განცხადება. მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაიქცა და ეს პროცესი დასრულდა, მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თურმე ეს ყველაფერი ყოფილა გიორგი ქადაგიძის ბრალი. მანამდე ივანიშვილი გვიმტკიცებდა, რომ ლარი არის აბსოლუტურად ნორმალურ ნიშნულზე, ხოლო მთავრობა ქადაგიძესთან მუშაობდა ძალიან კომფორტულად.

***— ეკონომიკური გუნდის გადადგომას რომ ითხოვთ ასე აქტიურად, ეშველება ამით საქმეს?***

— ეკონომიკური გუნდის გადადგომა არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა. ამ ეკონომიკური გუნდის პირობებში, ჩვენ გარანტირებული გვაქვს სრული კოლაფსი. რაც შეეხება ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებას, ამას სჭირდება ახალი ეკონომიკური გუნდი, რომელიც გაატარებს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას. თავისთავად, ახლა თუ დანიშნავენ გიორგი კვირიკაშვილის მაგივრად ჯანყარაშვილის და თამაზაშვილის პროტეჟეებს, რა თქმა უნდა, ასეთი ცვლილება ქვეყნის ეკონომიკას არ გააჯანსაღებს, მაგრამ თუკი დაინიშნება ეკონომიკური გუნდი, რომელიც არ მიიღებს დირექტივებს შუშის სახლიდან, შესაბამისად ექნებათ რეფორმების დამოუკიდებლად გატარების შესაძლებლობა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღება, ბევრი ფაქტორებიდან გამომდინარე, არის შესაძლებელი.

***— გლობალური პრობლემების ბრალიაო და, თქვენი აზრით, რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე?***

— არა, ვერ დავეთანხმები ამას და იმ ადამიანებს, ვინც ამბობს, რომ ეს არის გარე ფაქტორების ბრალი. შესაძლოა, რაღაც უარყოფითი გარე ფაქტორები მართლაც მოქმედებს, მაგრამ ასევე მოქმედებს ბევრი გარე ფაქტორი, რომელიც პირიქით, ხელს უწყობდა ქვეყნის განვითარებას. იგივე როცა საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს და, რომ რუსეთში ამის გამო შეჩერდა ქართული ექსპორტი, ეს არის ელემენტარულად არაპროფესიონალიზმი. იმიტომ, რომ იმ სანქციების შედეგად, რომელიც დაუწერეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს, ამის შედეგად არაევროპულმა ქვეყნებმა იხეირეს. განსაკუთრებით, ვინც არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები. იმიტომ, რომ რუსეთის მხრიდან წარმოიშვა ძალიან დიდი საბაზრო ნიშა, რომელიც ამ ეტაპისათვის ძირითადად შეავსეს თურქეთმა და ეგვიპტემ. საქართველოს ჰქონდა ბევრად უკეთესი შანსი, რომ თავისი ექსპორტი არა უბრალოდ გაეზარდა, არამედ გაეორმაგებინა, გაესამმაგებინა რუსეთის ფედერაციაში. ასეთი უამრავი მაგალითი, შემიძლია, რომ მოგიყვანოთ. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი არის იმ ეკონომიკური პოლიტიკის ბრალი, რომელსაც ატარებს ბიძინა ივანიშვილი. ეს არის კორუფციული, მონოპოლისტური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ რამდენიმე ოჯახის გამდიდრებას და ასეთი რამ, რასაკვირველია, ყოველთვის ხდება ქვეყნის მოსახლეობის გაღარიბების ხარჯზე.

***— რა გეგმები აქვს ოპოზიციურ პარტიებს? კვლავაც აქტიურად აპირებთ საპროტესტო აქციების გამართვას? როგორც ვიცით, ივანიშვილის რეზიდენციასთან გეგმავთ საპროტესტო აქციას...***

— ორშაბათს, 7 საათზე, ჩვენ ველოდებით თბილისელებს ავტოკოლონაზე, რომელიც შეიკრიბება რესპუბლიკის მოედანზე და დასრულდება ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან. ჩვენ ვართ რეალური ოპოზიცია, განსხვავებით იმ პარტიებისაგან, რომლებიც თანამშრომლობენ ხელისუფლების სპეცსამსახურებთან, მაგრამ იმავდროულად ჩვენ ვართ კონსტრუქციული ოპოზიციაც, ჩვენი ამოცანა არ არის რაღაც დებოშების და ექსცესების მოწყობა. ჩვენი ამოცანაა, ხელისუფლებამ გამართოს დიალოგი რეალურ ოპოზიციურ ძალებთან და ჩვენ ვართ მზად დიალოგისათვის. თუ ბატონი ივანიშვილი მოინდომებს ორშაბათს ჩვენთან შეხვედრას, ბუნებრივია, ჩვენ მზად ვართ ამისთვის. ჩვენ გვექნება მასთან შეკითხვები ღია ფორმატში. თვითონ ხომ გაიძახოდა, ამასთან მაქვს შეკითხვები, იმასთან მაქვსო, ახლა ჩვენ გვაქვს მასთან შეკითხვები და მოგვისმინოს. როცა ის ამტკიცებდა, რომ მიხეილ სააკაშვილი უშლიდა ხელს, რათა განეხორციელებინა საქართველოში მრავალმილიარდიანი ინვესტიცია, დღეს ვინ უშლის ხელს, რომ მცირე ინვესტიცია მაინც განახორციელოს ქართულ ეკონომიკაში?!

**ივანიშვილი ამტკიცებდა, რომ მიხეილ სააკაშვილი უშლიდა ხელს, რათა განეხორციელებინა საქართველოში მრავალმილიარდიანი ინვესტიცია, დღეს ვინ უშლის ხელს, რომ მცირე ინვესტიცია მაინც განახორციელოს ქართულ ეკონომიკაში?!**

***— ბატონო კახა, დაგბრალდათ, რომ ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გამტარებლები არიან და მათი დაკვეთით გააქტიურდნენო...***

— გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე, ოღონდ დამიზუსტეთ, ვინ დაგვაბრალა?

***— ძალიან ბევრმა, რომელი ერთი დაგისახელოთ... წამოვიდა ასეთი ბრალდებები თქვენი მისამართით...***

— მე ვიცი, რომ წამოვიდა, უბრალოდ, ესეც მნიშვნელოვანია, ვისგან მოდის. ეს მოდის ძირითადად ბურჯანაძის, ინაშვილის პარტიის წევრებისაგან, ასევე სადღობელაშვილისაგან, რომელიც არის სუსის ოფიციალური თანამშრომელი. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ აჩვენებს, ვინ ვინ არის. ეს აქციები ძალიან კარგი პროცესი იქნება ოპოზიციის ლუსტრაციისათვის, რათა რეალურად საზოგადოებამ გაიგოს, თუ ვინ არის რეალური ოპოზიცია და ვინ არის სატელიტი ოპოზიცია. ჩვენი ხელისუფლება და ჩვენი სატელევიზიო არხები ყველანაირად ხელს უწყობდნენ იმას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში რეალური ოპოზიცია ჩარეცხილიყო და ნაცვლად ამისა, ბურჯანაძის, ინაშვილის და სხვა ასეთი წარმონაქმნებისათვის გაეწიათ ყველანაირი რეკლამა. თუ გადახედავთ, სოციალურ ქსელებში სწორედ მათი წარმომადგენლები აქტიურობენ, რომ თურმე, როგორ შეიძლება ხელისუფლების წინააღმდეგ აქციების გამართვა, თურმე ლარი არის მშვენივრად, ჯანმრთელად და რა საჭიროა ამასთან დაკავშირებით აჟიოტაჟი. ამას ამბობენ ისინი, ვისაც ჰქვია ოპოზიციური პარტიები. ეს ყველაფერი კი ძალიან ჰგავს იმას, რასაც გიორგი თარგამაძე და სხვები ახორციელებდნენ წინა ხელისუფლების პირობებში.

***— ე.ი. თქვენ დანებებას არ აპირებთ?***

— პირველ რიგში, ჩვენი ამოცანა არის საზოგადოების გამოფხიზლება. საზოგადოებამ თუ არ დასვა დიაგნოზი, რა ჭირს ქვეყანას, ასეთ შემთხვევაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის წარმართვა იქნება შეუძლებელი. ამიტომაც არ ვუჭერთ ჩვენ მხარს ვადამდელ არჩევნებს, რადგან ვადამდელი არჩევნები არის კორუმპირებული ხელისუფლების და კორუმპირებული პოლიტიკური ელიტისათვის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა. ჩვენ არ უნდა მივცეთ ვადის გაგრძელების შესაძლებლობა. ჩვენი ამოცანაა საზოგადოების გამოფხიზლება, სწორი დიაგნოზის დასმა, საარჩევნო გარემოს შექმნა და ამის შემდეგ შეიძლება არჩევნებმა გამოიღოს შედეგი საქართველოში. დღეს რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, ის დასრულდება ზუსტად იმ შედეგით, რაც ისედაც არის ასახული საქართველოს პარლამენტში, უბრალოდ, შესაძლოა, ბურჯანაძის რამდენიმე დეპუტატი ჩაემატოს მათ რიცხვს.

***— ე.ი. არ უჭერთ მხარს ვადამდელ არჩევნებს?***

— რასაკვირველია. ეს არის პროვოკაციული იდეა, რომელსაც ახორციელებს ბიძინა ივანიშვილის კლანი და მათი ამოცანაა, რომ როგორმე დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, რათა ოთხი წლით კიდევ გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა, მოსახლეობა კი პირში ჩალაგამოვლებული დატოვონ. ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. იმ პირობებში, როცა ყველა ტელევიზიას აფინანსებს ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი, ქვეყანაში თავისუფალი პოლიტიკური პარტიებისათვის არანაირი სივრცე არ რჩება. ჩვენთვის ჯერ აუცილებელია, რომ ეს გარემო შევცვალოთ.

***— რა არის ამ ყველაფრის ბოლო, რით დაასრულებს ხელისუფლება?***

— მე ვფიქრობ, რომ ამ ხელისუფლებამ უკვე დაასრულა. დღეს საქართველოში არის ის ვითარება, რაც იყო 2001 წელს შევარდნაძის რეჟიმის დროს და რაც იყო 2010 წელს სააკაშვილის რეჟიმისას. ანუ ხელისუფლება არის ბოლომდე გაკოტრებული. გასაგებია, რომ მას არანაირი იდეები და არანაირი პროგრესისა და რეფორმების პოტენციალი არ გააჩნია, ახლა მიმდინარეობს ხელისუფლების ლპობის პროცესი. დღეს ჩვენ გვყავს მინისტრები, რომლებიც გადადგომის შესახებ წერენ განცხადებებს და ბიძინა ივანიშვილი არ აკმაყოფილებს. გიორგი კვირიკაშვილმა უკვე რამდენჯერ ითხოვა თანამდებობიდან გათავისუფლება, ასევე წულუკიანმა, ასევე სუბარმა და მათ ძალით აჩერებენ მთავრობაში. ყველასთვის გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ არის ბოლომდე გაკოტრებული. უბრალოდ, ვიდრე ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება ძლიერი ალტერნატივა, მანამდე ამ ხელისუფლების ლპობის პროცესი გაგრძელდება.

## სამართალი

### პოლიციამ მიტოვებული ჩვილი იპოვა




შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ ბათუმში, მესხეთის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დედისგან მიტოვებული ჩვილი იმყოფებოდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შეტყობინების მიღებისთანავე ადგილზე გამოცხადნენ. როგორც გაირკვა, 8 თვის ჩვილი დედამ ნაქირავებ ბინაში მიატოვა, თავად კი 26 თებერვალს საქართველოდან თურქეთში გაემგზავრა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები გამოიძახეს. შესაბამისი პროცედურების შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით ჩვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. 8 თვის გოგონა ამ დროისთვის მედიკოსების დაკვირვების ქვეშ იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ნიუსპრესი

### საზღვაო კატასტროფაში ქართველი მეზღვაური მოყვა

საბერძნეთში, კუნძულ ლევიტასთან, საზღვაო კატასტროფაში მოყოლილ სატვირთო გემზე, ერთი ქართველი და ხუთი თურქი მეზღვაური იმყოფებოდა.

ბერძნული მედიის ცნობით, მათ სიცოცხლეს ამ დროისთვის საფრთხე არ ემუქრება.

ისინი თურქეთის ტერიტორიაზე საბერძნეთის სანაპირო დაცვამ ვერტმფრენის მეშვეობით გადაიყვანა.

გემი ძლიერი ტალღების შედეგად კლდეს შეეჯახა და იძირებოდა.

ნიუსპრესი

### „მაგთიკომი“ „ბილაინს“ არასათანადო რეკლამის გამო უჩივის

შპს „მაგთიკომი“ თვლის, რომ შპს „მობიტელის“, იგივე „ბილაინის“ 4G მომსახურების სარეკლამო რგოლი არასათანადოა და კონკურენტ კომპანიას აზიანებს.

ამის შესახებ „მაგთიკომმა“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას განცხადებით მიმართა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრესსამსახურის ინფორმაციით, „მაგთიკომი“ ითხოვს, რომ კომისიამ აღნიშნული საკითხი განიხილოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „მაგთიკომის“ განცხადება შპს „მობიტელის“ წინააღმდეგ წარმოებაში მიიღო და საკითხის არსებითი განხილვის სხდომა 12 მარტს ჩანიშნა.

ნიუსპრესი

### სოფელ დვანიდან მამაკაცი გაიტაცეს

ქარელის რაიონის სოფელ დვანიდან, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა 27 თებერვალს ვასილ კობახიძე გაიტაცეს.

ეს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, გატაცების მესამე შემთხვევაა.

ვასილ კობახიძის ოჯახის წევრების განცხადებით, მათ ცხინვალიდან არავინ დაკავშირებია და აღნიშნულის შესახებ ქართველი სამართალდამცველებისგან შეიტყეს.

ადგილობრივების თქმით, სავარაუდოდ, ვასილ კობახიძის დაკავება იმ დროს მოხდა, როცა ის ე.წ. სასაზღვრო ზოლთან ახლოს იმყოფებოდა.

ცხინვალის იზოლატორში კიდევ ერთი ქართველი, ჯემალ ცაციაშვილი იმყოფება. ის გორის რაიონის სოფელ ქვეშის მკვიდრია.

მედიანიუსი



### ძარცვისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ძარცვის ბრალდებით, თბილისში, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი თ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე, ღამით, მოქალაქეს ავტომანქანიდან ხელჩანთა გასტაცა, რომელშიც 110 ლარი, ოქროს ორი ყელსაბამი და პირადი დოკუმენტაცია იყო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გიორგი თ. მომხდარიდან სამ დღეში დააკავეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულმა ნაძარცვი ნივთები თბილისში, სხვადასხვა ლომბარდში, ფულის მიღების მიზნით ჩააბარა.

პოლიციამ ოქროს ორივე ყელსაბამი ერთ-ერთი ლომბარდიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

ნიუსპრესი

### დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1982 წელს დაბადებული შოთა მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა შოთა მ. იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ქობულეთი-ურეკის საავტომობილო გზაზე ტაქსით გადაადგილდებოდა.

დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 1,394 გრ ჰეროინი ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

# „ვადამდელ არჩევნებს აზრი არა აქვს“

## დავით ჟღენტი: „ნაცმოძრაობა გაზაფხულზე გააქტიურდება“

მარიკა მჭედლიშვილი

**ვინ აწყობს საბოტაჟს ქვეყანაში? რატომ ცდილობს ხელისუფლება ყველაფრის ნაციონალებისთვის გადაბრალებას? ვინ არიან შეფარული ნაციონალები? რა საკითხზე უნდა გაიმართოს რეფერენდუმი? – „ახალი თაობა“ ამ და სხვა თემებზე ესაუბრა „სახალხო კრების“ წარმომადგენელ დავით ჟღენტს.**

***– საგარეო ფაქტორები რომ აისახება ლარის კურსის ვარდნაზე, ეს გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, ემატება თუ არა ამას საბოტაჟი?***

– საერთაშორისო კრიზისმა ბევრი სახელმწიფო მოიცვა. ჩვენ მეზობლად ვარდნა განიცადა აზერბაიჯანულმა მანათმაც. თუმცა, არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ საქართველოში ამ სფეროში აშკარა უმოქმედობა გამოიკვეთა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის მხრიდან შესაბამისი ზომების არმიღება აშკარაა. არც ხელისუფლებას ვამართლებ. „ქართული ოცნება“ დამნაშავეა იმაში, რომ ამა თუ იმ სფეროში საკვანძო თანამდებობებზე დატოვა ნაცმოძრაობის წარმომადგენლები. ამიტომ მათი მხრიდან საბოტაჟი გასაკვირი არ არის. საერთოდაც, უმაქნისი ხელისუფლებისათვის ძალიან მოსახერხებელია ყველაფრის გადაბრალება ნაცმოძრაობისათვის. ნაციონალური მოძრაობა რომ კრიმინალური ხროვაა, ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არაფერი უნდა აკეთოს, არ შეასრულოს დაპირებები და კრიზისი სახელგატეხილ კრიმინალურ ხროვას გადააბრალოს. ქადაგიძე პირწავარდნილი ნაციონალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჯოხი მარტო მასზე გადატყდეს, სხვამ კი პასუხი არაფერზე აგოს. მესამე წელიწადია, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. მესამე წელიწადი უკეთესი უნდა ყოფილიყო. ამას გვპირდებოდა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ უკეთესობა არ ჩანს.

***– სხვა სფეროებში რა ხდება?***

– მაგალითად, სასამართლო სისტემაში ადამიანების ბედს ისევ წყვეტენ დამნაშავე და გამყალბებელი მოსამართლეები. მათი განაჩენების საფუძველზე წინა რეჟიმს დაახლოებით 200 პოლიტპატიმარი ჰყავდა. ეს მაინც ხომ დადასტურებულია? როგორ შეიძლებოდა ნაციონალების დატოვება სასამართლო სისტემაში ან ეროვნულ ბანკში? ეს არასწორი პოლიტიკური გათვლა იყო. ასევე არასწორი იყო, როცა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს შემოიკრიბა ისეთი პარტიები, რომლებსაც მოსახლეობის 1 ან 2 პროცენტი უჭერს მხარს.

***– საბოტაჟს ხელშემწყობებიც ჰყავს?***

– პირველი ხელშემწყობია სატელევიზიო მედია, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა დღესაც აქტიურად აკონტროლებს. ტელევიზიები ამ დღეებში დილიდან იწყებდნენ პანიკის დათესვას, მერე კი მთელი დღის განმავლობაში აგრძელებდნენ. ისინი ამ პანიკითა და ისტერიკით პირდაპირ აყენებენ ზიანს სახელმწიფოს. ნაციონალების მიზნებიც ცნობილია. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ როგორმე გამოიწვიონ დესტაბილიზაცია ქვეყანაში. თუმცა, რაღაცა ამ ხელისუფლებამაც უნდა გააკეთოს. ამხელა პრემიებზე მაინც თქვან უარი!

***– პრემიებს შეიკვეცავენ, მაგრამ იმდენი პრემია და დანამატი აქვთ აღებული, რომ ამით არაფერი დააკლდებათ.***

– ცნობილია, რომ ზოგს 50 000 აქვს აღებული პრემიის სახით, ზოგს – 80 000. მანქანებში ხომ ასტრონომიული თანხები გადაიხადეს! ამ ხალხს არ ახსოვს, რომ ხელისუფლება ხალხის მიერაა დაქირავებული და ისე მოვალეა, მოსახლეობაზე იზრუნოს. ხელისუფლება მოვალეა, დაინტერესდეს და მდგომარეობა შეუმსუბუქოს პენსიონერს, რომელსაც 150-ლარიანი პენსია აქვს და თვიდან თვემდე ძლივს გააქვს თავი.

***– ვადამდელი არჩევნები ისევ რჩება გამოსავლად?***

– ეს ერთადერთი გამოსავალია. ეს იქნებოდა კონსტიტუციური გადასვლა ნორმალურ რელსებზე. მაგრამ, ახლანდელ პირობებში, როცა არადემოკრატიული საარჩევნო კანონია და საარჩევნო ადმინისტრაციებს ერთი (ფაქტობრივად, ორი) ძალა აკონტროლებს, ვადამდელი არჩევნების შედეგადაც იმავე სურათს მივიღებთ, რომელიც გვაქვს. ამ კომისიებში ისეთი ხალხია დასაქმებული, რომელიც დახელოვნებულია არჩევნების გაყალბებაში.

***– 2012 წლის არჩევნებიც გაყალბდა?***

– ნაცმოძრაობამ მაშინ 15-20 პროცენტი მიიღო. მაგრამ, პარლამენტში ნაციონალებს 40 პროცენტზე მეტი აქვთ. არც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ასახავს რეალობას. ამომრჩევლის 60-დან 70-მდე არ მისულა საარჩევნო უბნებზე. თბილისში სულ 30 პროცენტი მივიდა. ნარმანიამ ხმები ამ 30 პროცენტიდან მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გვყავს დანიშნული მერი. ადგილობრივ არჩევნებზე ხალხმა პროტესტი გამოაცხადა. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მიმართ ასეთი უნდობლობა არ იქნება. ხალხს ამ არჩევნების საშუალებით ცვლილებების იმედი აქვს.

***– რატომღაც ჩვენში ითვლება, რომ ვადამდელი არჩევნები არაკონსტიტუციურია.***

– ასეთი განცხადებები კეთდება. არადა, ყველამ იცის, რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაში არაფერია არაკონსტიტუციური. ასეთი არჩევნები დემოკრატიულ ქვეყნებში ძალიან ხშირად ტარდება. კარგი იქნება, თუ არჩევნებთან ერთად რეფერენდუმიც გაიმართება თემაზე: „გინდათ თუ არა, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი?“ ობამა და შტაინმაიერი გვეუბნებიან, რომ საქართველო ვერ გახდება ამ ორგანიზაციის წევრი. მაგრამ, გვყავს პოლიტიკოსები, რომლებიც მარტო ამაზე ლაპარაკობენ. მათთვის ესაა ერთადერთი მიზანი.

***– ძველი რეფერენდუმის შედეგებს არ ენდობით?***

– რა თქმა უნდა, არა. ეს რეფერენდუმი 2003 წელს, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა. მაშინდელი პროპორციული არჩევნები თუ გაყალბდა და ამის საბაბით 2003 წლის მოვლენები მოხდა, მაჟორიტარული არჩევნები და რეფერენდუმი რატომ ჩაითვალა სამართლიანად? ჩასატარებელია ახალი რეფერენდუმი, მაგრამ გარკვეულ ძალებს ეს ტყუილები თავიანთი მიზნებისათვის სჭირდებათ.

***– ადრე ამბობდით, რომ ნაციონალები, ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები გაერთიანდებოდნენ. დღეს რას იტყვით?***

– მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიებს ერთი კოალიცია არ აერთიანებთ, ისინი მაინც ერთად არიან. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ალასანიას რიტორიკა ერთი ერთში ჰგავს სააკაშვილი-ბოკერიას რიტორიკას. რესპუბლიკელები გამოცდილები არიან ავანტიურებში. მაგალითისთვის მარტო ის კმარა, რომ ისინი 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებაშიც მონაწილეობდნენ და 2003 წლის ვითომ რევოლუციაშიც. ორივე ანტისახელმწიფოებრივი ქმედება იყო. გამოცდილი რესპუბლიკური პარტია, უბრალოდ, თავშეკავებულია, თორემ მისი პოზიციები ემთხვევა ნაციონალებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიციებს.

***– დავუშვათ, ეს სამი პარტია გაერთიანდა. რა შანსი ექნებათ არჩევნებზე?***

– რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიის რეიტინგები დაბალია. ნაცმოძრაობას, როგორც კარგად ორგანიზებულ, სტრუქტურირებულ და ძალიან მდიდარ პარტიას, რომელიც



მოსყიდვებსაც იყენებს, მათზე მეტი, ასე, 10 პროცენტი. საქმეც ისაა, რომ ისინი იმედს არ ამყარებენ სამართლიან არჩევნებზე. მათ გაყალბების იმედი აქვთ.

***– თქვენ დესტაბილიზაციის მიზნებიც ახსენეთ..***

– დიახ. გაზაფხულზე ნაცმოძრაობა, შეფარული ნაციონალები და მათი სატელიტები საგრძნობლად გააქტიურდებიან. ამაზე ღიად ლაპარაკობს უკრაინაში მყოფი ნაციონალების ბელადი. არ ვიცი, იქნება თუ არა ეს მაიდანის თბილისში გადმოტანა, მაგრამ ეს ძალები რომ დიდ ზიანს მოუტანენ ქვეყანას, უდავოა, მით უმეტეს, ტელევიზიების სახით მათ დიდი მოკავშირეები ჰყავთ. მაგალითად, ხუთშაბათს დილიდან თითქმის ყველა არხი უმთავრეს თემად უშვებდა ფინანსთა სამინისტროსთან მიმდინარე აქციას. მასში ნაციონალები ღიად არ მონაწილეობდნენ, მაგრამ აქციის ერთ-ერთი მონაწილე, „რეფორმატორების“ ლიდერი, ნაციონალებთან დაახლოებული პირია. ტელევიზიები დაკავებული არიან პროპაგანდითა და დეზინფორმაციის გავრცელებით. ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის კი სიმართლის გავრცელებაა აუცილებელი.

# ბანკებს მიწის გაყიდვის უფლება არ უნდა მივცეთ!

## მთელი აფხაზეთი და სამაჩაბლო მილიარდნახევარი ლარის ღირებულებისაა

გულიკო ბალაძე

2014 წლის 29 დეკემბერს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რომელსაც ექსპერტები საქართველოს გაყიდვის ტოლფას დოკუმენტად აღიქვამენ. საქმე ეხება ქართული მიწის უცხოელებზე შეუზღუდავად გაყიდვას.

მათი შეფასებით, აღნიშნული კანონი ამოქმედების შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას მიწის გარეშე დატოვებს, რადგან საქართველოსთვის დღემდე არ მომხდარა მიწის ხელახალი რეგისტრაცია. არ არის აღრიცხული, რამდენია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები, არ არსებობს მიწის კოდექსი, რომელიც მიწასთან დაკავშირებულ პრობლემებს ერთხელ და სამუდამოდ დაარეგულირებს.

კანონპროექტის მიხედვით, მიწის ყიდვის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. მათ შორის, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს. ასევე კანონპროექტი მიწის შეუზღუდავად შეძენის უფლებას აძლევს კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომელთა უკან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ან საერთაშორისო კორპორაციები დგანან. უახლოეს პერიოდში ადვილად შესაძლებელია კომერციული ბანკები „მსხვილ მიწათმფლობელებად“ იქცნენ.

2012 წელს მოსულმა ივანიშვილის ხელისუფლებამ უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე მორატორიუმი გამოაცხადა. რასაც მოჰყვა უცხოელის საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც, 2014 წელს, ფაქტობრივად, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე მორატორიუმი გააუქმა. საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი ამგვარი გადაწყვეტილება მითითებული ჰქონდა 2012 წელსაც. ამიტომ




საჭირო შეიქმნა ახალი რეგულაციების შემოღება.

პარლამენტში შეტანილ კანონპროექტის მიღებას ეწინააღმდეგებიან პარლამენტის ყოფილი წევრები, მიხეილ ჯიბუტი, მამუკა გიორგაძე და პაატა კოღუაშვილი. ისინი აცხადებენ, რომ ქართული მიწის გაყიდვა დაუშვებელია. მათ „პრაიმ-ტაიმში“ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს და პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი გააკრიტიკეს.

**მიხეილ ჯიბუტი:**

– კანონპროექტში უცხოელებზე მიწის მიყიდვის საკითხი შირმადაა გამოყენებული. კიდევ უფრო დიდი საფრთხეა, უპრეცედენტო ჩანაწერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ბანკებსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეუზღუდველად გაყიდვის შესახებ, რაც იმდენად საფრთხის შემქმნელია, რომ თუ ამ გაგებით ოკუპირებულ ტერიტორიას ფასში გადავიყვანთ, მთელი აფხაზეთი და სამაჩაბლო მილიარდნახევარი ლარის ღირებულების გამოვა. ამ კანონის მიღების შემთხვევაში გეტყვიან, თუ ყიდი მიწას, მოგვყიდე ჩვენ, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მიწას ვის მიყიდიო. შეიძლება მიზანი ესეც არის. ჩემთვის გაუგებარია ასეთი მიდგომა. ამიტომ კანონპროექტის მიღება საფრთხეს უქმნის არა მარტო დაპყრობილ ტერიტორიებს, არამედ დანარჩენსაც. მილიარდნახევარი ლარი დაახლოებით იმდენია, რამდენიც ქართველმა მეანაბრეებმა ერთი თვის განმავლობაში ლარის გაუფასურების შედეგად დაკარგეს. თუ ხელისუფლებას მიწა ინვესტიციის მიზიდვის საშუალებად მიაჩნია, ეს ეკონომიკური და ხანგრძლივი თვალსაზრისით აბსურდია. მოკლევადიან პერიოდში ხელისუფლებამ შეიძლება ერთი-ორი წლით არსებობა გაიხანგრძლივოს. ამ ტენდენციას ადასტურებს ლარის კურსის გასამაგრებლად მთავარ პოლიტიკურ იარაღად პრივატიზების გამოცხადება, რაც აბსურდია. ზოგი სამინისტრო აცხადებს, რომ გაყიდის იმ შენობას, რომელშიც თვითონ არის განთავსებული. ასეთი აჟიოტაჟური პოლიტიკა შედეგის მომცემი არ იქნება. მეორედ რას გაყიდი? ახალმა ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური კომისია მიწის კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად, მაგრამ არაფერი გააკეთა.

***– თქვენი ორგანიზაცია ფიქრობს თუ არა მიმართოს პრეზიდენტს და რა არის ის ქმედითი ნაბიჯები და მექანიზმი, რაც უნდა იყოს ასახული კანონში, რომელსაც პარლამენტი მიიღებს?***

– რასაც ქმედითი ნაბიჯები ჰქვია, ყველა გადადგმულია. მივმართეთ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, იუსტიციის მინისტრს, ეკონომიკის მინისტრს, პარლამენტს და საქართველოს საზოგადოებრიობას, განხილვებში მონაწილეობით. ბოლო ერთი თვის განმავლობაში კომისია ჩაიკეტა და გამოცხვა ის კანონი, სადაც ვერ ვპოულობთ, ვინ ჩაწერა კანონპროექტში ეს მუხლი. რატომ მალავენ ავტორს?

***– კონკრეტულად რომელ მუხლზე საუბრობთ?***

– საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებზე, ბანკებზე მიწის გაყიდვის უფლების შესახებ. მათ რეგისტრაციას არეგულირებს ეროვნული ბანკი. მასზე სხვანაირი რეგულაცია არ ხორციელდება. არასაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია ფული ისესხონ და გაასესხონ. ეს სავახშო ორგანიზაციაა. სავახშო ორგანიზაციას არ შეიძლება ჰქონდეს მიწა საკუთრებაში. მან შეიძლება გირაოდ აიღოს. თუ მიწის მფლობელმა ვერ დააბრუნა კრედიტი, ბანკს უნდა ჰქონდეს უფლება, მიწა გაყიდოს და გაუშვას მიმოქცევაში, მაგრამ არა ისე, რომ ბანკი გახდეს მიწათმფლობელი. ეს არის ფეოდალიზმის ისეთი ფორმების აღდგენის სურვილი, როდესაც იურიდიულ პირს (იურიდიულ პირთან დაკავშირებით მეორე მნიშვნელოვანი მომენტია) შეიძლება მიეყიდოს მიწა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, უცხოელია თუ ქართველი, იურიდიულ პირზე (უცხოელი აქ არის ლიბრის აფარება) მიწის მიყიდვა დაუშვებელია. იურიდიულ პირს, იქნება თუ არა ის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული, მაინც აქვს მიწების ყიდვის უფლება, ანუ სადღაც იქნება, ვთქვათ, თოჯინების ქარხანა,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ნაციონალური მოძრაობა „ქართულმა ოცნებამ“ გააცოცხლა“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ ხელმძღვანელ მერაბ შათირიშვილთან



*— გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნება“ დიდი ცვლილებებისთვის ემზადება, კოალიციაში ახალი სახეების შემოყვანით რა შეიცვლება?*

— „ქართულმა ოცნებამ“ დიდი ცვლილებები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მოახდინა. მას შემდეგ ამ ცვლილებებმა გარე ქვეყნების პოლიტიკური გავლენითა თუ რჩევებით კოჰაბიტაციის ფორმატში გადაინაცვლა და „ზედემოკრატიულმა“ მიდგომებმა და ცალკერძ კანონის ამოქმედებამ, კოჰაბიტირებული პარტიის დამნაშავე ლიდერების დასჯამ გაურკვეველი შეფასებები გამოიწვია „ქართული ოცნების“ მიმართ როგორც საერთაშორისო საზოგადოებაში, ასევე ქართველ ამომრჩეველში – ბევრს გაუცრუვდა იმედი და ეს ყველაფერი მომდევნო საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებში ნეგატიურად აისახა. ბევრმა ჩაიქნია ხელი და ყველაფრისადმი ნიჰილისტურად განეწყო, საარჩევნო აქტივობაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მომდევნო არჩევნებში საგრძნობლად ამიტომაც იკლო. ახლა რაც შეეხება „ქართული ოცნება“ კოალიციურ რეჟიმში რომ გაძლიერებისთვის ემზადება და ახალი სახეების შემოყვანას გეგმავს, ამაზე ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გიპასუხოთ, რომ კოალიციურ რეჟიმში, პირადად მე, „ქართული ოცნების“ გაძლიერებას უპერსპექტივოდ ვუყურებ – რადგანაც, სწორედ კოალიციაში შემავალი პარტიების, განსაკუთრებით, ე.წ. ლიბერალური ფრთის პოლიტიკური „მტაცებლობის“ დამსახურებაა, რომ მომავალი არჩევნების წინა პერიოდშიც იგივე გვესმის, რაც გავლილი არჩევნების დამდეგს, თითქოსდა „ქართული ოცნება“ ძლიერდებაო, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ და ამას ყოველთვის ხმამაღლა ვაფიქსირებდი; „ქართული ოცნება“ მოცემულ კოალიციურ ფორმატში ვერასოდეს გაძლიერდება და ეს წყლის ნაყვა იქნება. რაც შეეხება ახალი სახეების შემოყვანას პარტიაში და მათ ხარჯზე სასიკეთო მიზნის მიღწევას, ეს სულ მთლად აბსურდია და უიმედოა მომავალი ბრძოლისთვის და, იცით, რატომ, მე, როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დამფუძნებელსა და სულისჩამდგმელს – „ძველ“ აქტივისტს, რომელიც უმადურებისა და დაუნახაობის გამო, ჩემი მხრივ წარმატებულად ჩატარებული სამი არჩევნების შემდეგ იგნორირებულს, ახალი სახე ეფექტურად შემცვლის?. ის, ვისაც ბრძოლა არ ჩაუტარებია და არ მოუგია, ოფლი არ დაუღვრია და საკუთარი სიცოცხლე, ოჯახი და მეობა სასწორზე არ დაუდვია, თავს გამოიდებს თუ, პირიქით, თავი კახაბერი არ ეგონება? არ იფიქრებს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო? კი, ასე იქნება ეს და, მე ასეთი ახალი სახეებისა და ახალი ცვლილებების ნამდვილად არ მჯერა... ეს ყველაფერი პოლიტიკურ მირაჟად, ამომრჩეველზე ცრუ ეფექტის მოხდენის მცდელობად, ერთჯერად გაბრუებად მიმაჩნია.

***— საუბარია იმ ადამიანებზეც, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში, თქვენ, როგორც ერთ-ერთმა იმათგანმა, მიიღეთ თუ არა მსგავსი შემოთავაზება?***

— არავითარი შემოთავაზება მიმიღია არავისგან და არც არასოდეს მიცდია, რაიმე პრივილეგიისთვის მიმეღწია გუნდურ თამაშში, სიმართლე გითხრათ, ამჟამად არც თამაშგარე მდგომარეობაში ვგრძნობ თავს, რადგან ჩემთვის უპირველესად ქვეყნისთვის მსახურებაა პრიორიტეტი და არა – სამსახური, ხოლო თუკი ჩემი ღვაწლი ან მონდომება, ავტორიტეტი ან პატიოსნება ვინმემ ვერ დაინახა, ეს მათი პრობლემა იქნება და ამას საბოლოოდ იგრძნობენ, რადგანაც „ქართული ოცნების“ უამრავი აქტივისტი, გულანთებული ადამიანია განაწყენებული არა უსამსახურობით ან უთანამდებობით, არამედ დაუფასებლობითა და უმადურებით. ასე რომ, თუკი ვინმეს „ქართული ოცნების“ გაძლიერება სინამდვილეში სურს, ახალ გაპრანჭულ სახეებს კი არ უნდა ეძებდნენ, ნაბრძოლითა და ნაღვაწით აუთვისებელი, სწორედ განაწყენებული აქტიური ადამიანები უნდა მოაბრუნონ და მოუბოდიშონ... ჩემთან დაკავშირებით შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, რადგან მე განაწყენებულ მდგომარეობას ვერ ვიტან – „განაწყენებული“ არა და გაბრაზებული ნამდვილად ვარ ჩემი თანამებრძოლი პარტიული ხელმძღვანელობის უუნარობითა და უგუნურებით, რომლებიც მხოლოდ ერთი ადამიანის შესაძლებლობებსა და გასაქანზეა არიან მიჩერებულ-დამოკიდებულნი... ვგულისხმობ, ბიძინა ივანიშვილს, რომლის ღვაწლიც მართლაც შეუფასებელია, თუმცა უამრავმა „დასაყრდენმა“ ადამიანმა იმედი გაუცრუა.

***— საინტერესოა, რა ხდებოდა კულუარებში, მიზეზი, რის გამოც კოალიციის, ასე ვთქვათ, ყველაზე ერთგული ადამიანები აღმოჩნდნენ კოალიციის გარეთ?***

— კულუარებში ისეთი არაფერი ხდებოდა და არც ახლა ხდება, რაც ქართველი საზოგადოებისთვის გაუგებარი დარჩება, ნათქვამია: შუბი ხალთაში არ დაიმალება ერთგული ადამიანების „ქართული ოცნების“ მიღმა აღმოჩენა გამოიწვია, სწორედ ერთ კაცზე მოიმედეობამ, მის წრეზე ტრიალმა და თვალებში ფარისევლურმა ციცინმა, სინამდვილეში – კი ღალატმა, რაც არ იძლეოდა შეფასების შესაძლებლობას ერთგული და მართალი ადამიანებისა, არ კეთდებოდა ანალიზი არც ერთი ჩატარებული არჩევნების დასრულების შემდეგ, ვინ სად რა საარჩევნო შედეგი დააყენა, ვინ იბრძოლა თავგამოდებით და ვინ არ დაიშურა საკუთარი ძალები, მხოლოდ მოგებას ზეიმობდნენ, თავი ქუდში ეგონათ და სხვა ყველაფერი ანგარიშში ჩასაგდებად არ მიაჩნდათ... წარმოიდგინეთ, არ მოიპოვება „ქართულ ოცნებაში“ პარტიული ხელმძღვანელი თუ ჩვეულებრივი თანაპარტიელი – აქტივისტი, რომელიც იკადრებს და ჩემ შესახებ გადახრილს იტყვის: არასოდეს მომითხოვია რაიმე თანამდებობა და პარტიული პრივილეგია, მუდმივად ხმამაღლა ვაფიქსირებდი სიმართლეს და ჩემს ერთგულებაში ვინმემ რომ ეჭვი შეიტანოს, მთელი ქვეყნის გასაგონად ვაგებინებ პასუხს. ახლა მკითხველი დაფიქრდეს, რატომ აღმოჩნდა მერაბ შათირიშვილი პოლიტიკური აქტივობის მიღმა? სამართლიანობისა და ერთგულებისთვის? ამბავი მომიტანეს, მერაბ შათირიშვილი უმართავიაო.

***— შეცდომები, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან იქნა დაშვებული, როგორ ფიქრობთ, იყო არაკომპეტენტურობით თუ იყო მიზანმიმართული, რომელიც ორიენტირებულია ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაციისათვის?***

— უპირველესი შეცდომა, პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, იყო ბიძინა ივანიშვილის შესაძლებლობებისა და მის მიმართ ხალხის სიყვარულით დაიმედებული მოქმედება, რასაც თავდაჯერებულობა ახლდა, ხოლო თავდაჯერებულობა ყველა შემთხვევაში უგუნურებამდე, უვიცობამდე ან პატივმოყვარეობამდე აღწევს. „ქართულმა ოცნებამ“ ჯერჯერობით ამ ადამიანის განუზომელი საზოგადოებრივი რესურსი და შესაძლებლობები უკუღმართად გამოიყენა, ხოლო კოალიციაში შემავალმა პარტიებმა მისი პერსონით ბოროტად ისარგებლეს, სვავებივით მიესივნენ და დღესაც ასე იქცევიან. რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაციას, ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებები, ცხადია, უნებლიეთ ხელს უწყობს მათ მკვდრეთით აღდგომას, თუმცა, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ქართველი ხალხი მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას არასოდეს დაუშვებს იმ სახეშენარჩუნებით, როგორსაც ეს დამნაშავე პარტია დღეს წარმოადგენს. კოჰაბიტაცია კი დამღუპველი პოლიტიკა იყო.

***— რამდენად მოახერხებენ ნაციონალები საკუთარი თავის რეაბილიტაციას?***

— ნაციონალები რასაც ახერხებენ, ეს არის მაქსიმუმი. ამის შემდეგ სხვა ზღვარია, სამოქალაქო დაპირისპირების, ამ ზღვარს მიღმა კი უფსკრულია, რომელშიც უცილობლად ჩაენარცხებიან ძალები, რომლებიც რევანშისტული განწყობით არიან და, ჩვენდა სასიხარულოდ თუ თავსატეხად, ნაციონალებს სწორედ ეს ბედი ელით, თუმცა ამის რესურსი მათ აღარ გააჩნიათ. მათ მხოლოდ ქვეყნისთვის მტრობისა და ზიანის მიყენების რესურსიღა დარჩათ, რომელსაც უახლოესი დრო-ჟამი (რადგან მათი პოლიტიკური კრახი სხვა მზარდი და ამბიციების მქონე პარტიების ინტერესშიც შედის და მათ წინააღმდეგ ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილთან ერთად ისინიც იბრძოლებენ) თანმიმდევრულად გაცვეთს და გაანეიტრალებს.

# ბანკებს მიწის გაყიდვის უფლება არ უნდა მივცეთ!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

**ვასაძე სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელისთვის საკუთრებაში გადაცემას აპროტესტებს და არა იჯარით გაცემას. მისი განცხადებით, აღნიშნულ საქმეში მას პრემიერ ღარიბაშვილის და მინისტრ კვირიკაშვილის იმედი აქვს.**

რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო მიწა და გახდება ფეოდალი. ასეთ კანონმდებლობას მსოფლიო პრაქტიკა არ იცნობს. ამიტომ ძალიან ძნელია თქვა, მისგან მოსალოდნელი უბედურება რა იქნება. ამიტომ გასაკვირია, რატომ არის ასეთი განწყობა და რატომ არ იღებს ხელისუფლება სრულფასოვან კანონს.

პრივატიზების შედეგად რა მიწებიც დაურიგდა მოსახლეობას, მათ 70%-ს ეს მიწები რეესტრში გატარებული არ აქვს. ჰიპოტეტურად რომ წარმოვიდგინოთ – სოფელში ცხოვრობს მოხუცი ცოლ-ქმარი. მათი შვილი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქე. მათი გარდაცვალების შემდეგ, დღეს ადამიანებს გაუკაცრიელებულ სოფლებში სახლებზე უფლების დასტურების პრობლემა აქვთ. ფშავის, ხევსურეთის სოფელში მიწის დასარეგისტრირებლად კაცს 2-3 მეზობლის მიყვანას სთხოვენ, მაგრამ სამი მეზობელი არ არსებობს 12 თემში, სოფელში არავინ ცხოვრობს. ამიტომ მთლიანობაში ეს პრობლემაა. სოფელი, როგორც ასეთი, ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს. მიწა არის ის მთავარი განმსაზღვრელი, რასაც ეფუძნება ერი და რაც არის მისი საკუთრება.

***— თქვენ რას სთავაზობთ?***

— ჩვენ ვთავაზობთ მიწის კოდექსის მიღებას, სადაც მიწა მთლიანად იქნება დარეგულირებული, მისი ყველა შემთხვევა. შემთხვევები განსაზღვრული არ არის. რეფორმა უნდა დასრულდეს და მოიცვას მთლიანად. იმაზე ლიბერალური კანონი ხომ არ უნდა მიიღო, ვიდრე ამერიკაშია, საფრანგეთშია, გერმანიაშია.

***— კანონპროექტი, რომელიც პარლამენტშია შეტანილი, მისი ანალოგი მსოფლიოში არ არის.***

— ვინმე მიწას რომ ყრიდეს, ყიდდეს და ფლანგავდეს, ასეთი ანალოგი მსოფლიოში არ არის. ახლა სამშობლოს გაფლანგვის პროცესია. ქართველები დარჩებიან უმიწოდ და ის გადავა ფინანსური ორგანიზაციების ხელში. ჩვენთან ეს პროცესი დაწყებულია. უცხოეთის ქვეყნებში ადამიანები ყიდიან მიწებს და ჩამოდიან აქ, ასჯერ მეტი მიწის საყიდლად, რომ თავი გადაირჩინონ. ჩვენი მოქალაქეები კი უცხოეთში მონებად მიდიან. აქ კი არ მოხდა მიწების ფასის აწევა და კაპიტალიზაცია.

***

რატომ არიან მიწის გაყიდვის წინააღმდეგი, ამ საკითხზე საუბრობს ასევე პაატა კოღუაშვილი.

– აბრაამიდან დაწყებული დღემდე და მომავალშიც მიწა გაიყიდება უცხოელზეც, ამ ქვეყნის მოქალაქეებზეც. ეს ურთიერთობები იქნება მარადიულად პერმანენტული. რატომ გამოვთქვამთ ამ დარგის სპეციალისტები, ის ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში ვმუშაობთ, შეგვიქმნია სერიოზული მეცნიერული შრომები და გამოგვიკვლევია მსოფლიო პრაქტიკა ამასთან დაკავშირებით? როდესაც ჩვენ კონსტიტუციაზე ვმუშაობდით, არც გვიფიქრია და არც ჩაგვიწერია ისეთი მუხლი, რომელიც ქვეყანას პრობლემას შეუქმნიდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიგო საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება, რადგან ავტოკრატული, მოტირანო მმართველის ზემოქმედება იყო. ამის თქმის უფლებას საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი, ბატონი ვახტანგ გვარამია მაძლევს, რომელიც იმ პალატის წევრი იყო, რომელმაც 2012 წლის ივნისის თვეში გადაწყვეტილება მიიღო და გააუქმა ყველა არსებული შეზღუდვა საქართველოს კანონში სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ. ეს იყო ისეთი ნამდვილად ზემოქმედებისა და ზეწოლის შედეგი და მან ამისათვის ბოდიში მოიხადა ჩვენთან მეგობრულ ურთიერთობაში. ამ კანონპროექტით დგინდება განუკითხავი უფლება ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქისა, საქართველოს ღია ბაზარზე შეიძინოს ქართული მიწა. დღეს კონკურენტუნარიანი ქართველი გლეხი პრაქტიკულად არ გვყავს, – აცხადებს პაატა კოღუაშვილი.

**პაატა კოღუაშვილი:**

– ჩვენ ვითხოვთ დაახლოებით 3-4 თვეს, რომ ქართველმა ექსპერტებმა, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, შევქმნათ სრულყოფილი მიწის კოდექსი. აქ იგულისხმება, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ასევე ურბანული და სხვა ყველა მიწა თავისი დანიშნულებისამებრ. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონი“, რომელშიც უნდათ ცვლილების შეტანა, კონსტრუქციულად დაშლილია და მიწაზეა დანარცხებული. აღნიშნული კანონი 1996 წლის 22 მარტსაა მიღებული. მის შექმნაში მონაწილეობდნენ როგორც თქვენი მონა-მორჩილი, ასევე ცნობილი სპეციალისტები. მათ შორის, ბატონი მიხეილ ჯიბუტი, რომელიც ხმალამოღებული იბრძოდა კანონის სწორი ინტერპრეტაციით მიღებისთვის. ეს კანონი რომ ფუნქციონირებდეს, მას სჭირდება კიდევ სხვა კანონები. მაგალითად, კანონი გრძელვადიანი გაუსხვისებადი იჯარის შესახებ. ძალიან ბევრი უცხოელი, რომელიც ჩამოდის, ამბობს, რომ მიწის ყიდვა კი არა, 49-წლიანი იჯარით აღება მინდა. თუ შევწყვიტე იჯარით სარგებლობა დროზე ადრე, მე ამ იჯარით სარგებლობის უფლებას გავასხვისებ სხვაზე. ეს მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკაა. ამ კანონპროქტის პარლამენტის კომიტეტში განხილვისას მოწვეული ჰყავდათ ორი უცხოელი ექსპერტი: ერთი – ისრაელიდან, მეორე – ამერიკიდან. ახალგაზრდა კაცი ისრაელიდან ულტრალიბერალურ-ფსევდოლიბერალურ იდეებს ქადაგებდა. როცა დაასრულა, მას ვკითხე – ბედნიერი ვარ, რომ რჩეული ერის წარმომადგენლის გვერდით ვზივარ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, რატომ არის, რომ ისრაელში მიწების 95%-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია? რატომ აფუნქციონირებთ კოლმეურნეობის ტიპის კიბუცებს, მუშაკებს? ჩვენც მტრულ გარემოში ვცხოვრობთ, საქართველო, როგორც სახელმწიფო, მტრულ გარემოშია. ის გაჩერდა და უკან წაიღო თავისი ნათქვამები. იგივე პოზიციაზე იყო ამერიკელი ექსპერტიც. მე ისიც გავაჩერე, მკითხა, რატომ არის, რომ აიოვასა და მისურის (ყველაზე სასოფლო-სამეურნეო შტატებში) შტატებში უმკაცრესი რეგულაციებია უცხოელთა მიმართ და რაც უფრო სასოფლო-სამეურნეოა შტატი, მით უფრო მკაცრი შეზღუდვებია უცხოელების მიმართ? რატომ არის, რომ შეერთებულ შტატებში უცხოელებზე გასხვისებულია მხოლოდ და მხოლოდ 0,7%? რატომ გაქვთ ისეთი მოთხოვნები, რომ პირმა მიწაზე უნდა წარმოადგინოს საინვესტიციო გეგმა, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმასთან? რატომ უნდა წარმოადგინოს მან საინვესტიციო გეგმა ამ მიწაზე, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს შეერთებული შტატების სასურსათო პროგრამასთან?

***

***— რა სჯის საქართველოს ხელისუფლებას, რატომ უნდა ამგვარი კანონის მიღება?***

ამ კითხვაზე პარტია „სახალხოს“ ლიდერი მამუკა გიორგაძე პასუხობს:

– ბოლო პერიოდის ყველა ხელისუფლებამ



თითო აგური გამოაცალა თავის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებით ქართულ სახელმწიფოს. ეს თითო აგური, თითო პიროვნების, ან თითოეული კონკრეტული ჯგუფის ინტერესია. 1996 წელს პარლამენტის სხდომაზე დავსვი მიწის კოდექსის შექმნის საკითხი. მაშინ გვეუბნებოდნენ 25 კანონია დასაწერი და დროს ნუ გვაკარგვინებთო. მაშინაც ვაცხადებდით, რომ კოდექსი თითქმის შემუშავებულია, საერთაშორისო ექსპერტებთან იდო. არც მაშინ გაიზიარეს ჩვენი პოზიცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მიწის შეძენის უფლება არის კორპორატიული საკითხი. ვინც ეს დაწერა, ხომ უნდა მოეკითხა, ვინ იდგა ამის უკან? ჩვენ გვავიწყდება ის, რომ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია. ქართული მიწა რჩება პატრონის გარეშე. ეს მიწა არ ეკუთვნის მხოლოდ ერთ თაობას. ამ მიწის გულისთვის მილიონობით ქართველი იბრძოდა და ჩაწვა.

***

არსებობს ინფორმაცია, რომ მიწის შესახებ ამ კანონპროექტის მიღებას ეწინააღმდეგება ბიზნესმენი ლევან ვასაძეც. არსებობს ინფორმაცია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილსაც შეხვდა. მიწის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები ვასაძემ ანტიდისკრიმინაციულ კანონს შეადარა.

– იმედი მაქვს, ამ ვერსიის კანონს არ მიიღებენ. ვიცი, ცვლილებები შევა, მაგრამ ეს იქნებოდა როგორც საქართველოს გამყიდველობა, ისევე იყო ზნეობის გამყიდველობა, – განაცხადა ვასაძემ.

ვასაძე სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელისთვის საკუთრებაში გადაცემას აპროტესტებს და არა იჯარით გაცემას. მისი განცხადებით, აღნიშნულ საქმეში მას პრემიერ ღარიბაშვილის და მინისტრ კვირიკაშვილის იმედი აქვს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კანონპროექტის განხილვას ხმაური მოჰყვა. საკითხი ეხება უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის წესის შემოღებას.

# მიხეილ ხოდორკოვსკი: „პუტინის ხანა დასასრულს უახლოვდება!“



– პუტინის ხანა დასასრულს უახლოვდება! გონია არა მხოლოდ მტკივნეული, არამედ დასავლეთისათვის ძალიან საშიში იქნება! მოვუწოდებ ევროპასა და აშშ-ს, რათა რუსულ ოპოზიციას მორალური დახმარება აღმოუჩინონ!

ეს სიტყვები ცნობილ რუს პოლიტიკოსსა და ოლიგარქს მიხეილ ხოდორკოვსკის ეკუთვნის. აღნიშნული განცხადება მან ლონდონში, სამეფო აკადემიაში ლექციის დროს გააკეთა.

### მან გზა თავად გაიკვლია

–მიხეილ ხოდორკოვსკი იმ ადამიანებს განეკუთვნება, ვინც გზა თავად გაიკვლია,–ასე ახასიათებს მას რადიო „თავისუფლება“.

ხოდორკოვსკი განათლებით ქიმიკოსია. ის 1963 წელს დაიბადა, დაამთავრა მენდელეევის სახელობის ინსტიტუტი. სტუდენტობისას პარალელურად დურგლად მუშაობდა. შემდეგში მან ეს ასე ახსნა:

–კარგი ცხოვრება მიყვარდა, ეს კი, მოგეხსენებათ, ფული ღირს! ჰოდა, ვმუშაობდი,–ამბობს ხოდორკოვსკი.

მიუხედავად ამისა, ინსტიტუტი მან წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ იყო პერესტროიკა, კერძო ინიციატივასაც მეტი გასაქანი მიეცა. ხოდორკოვსკი-ბიზნესმენის კარიერაც აქედან დაიწყო.

–ბიზნესმენობის ნიჭი მემკვიდრეობით მომდგამს. ჯერ კიდევ ბაბუაჩემი ცნობილი საქმოსანი ყოფილა,–ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ხოდორკოვსკი.

ხოდორკოვსკი რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს და გავლენიან ადამიანად გადაიქცა.

### კონფლიქტი პუტინთან

ხოდორკოვსკი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ხედავდა, რომ ელცინმა, როგორც პოლიტიკოსმა, თავისი თავი ამოწურა. რუსეთი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქვეყანა ქაოსსა და ბანდიტიზმში იყო ჩაფლული. დემოკრატიულმა იდეამაც სრული დისკრედიტაცია განიცადა. რუსეთში ორი ძლიერი პოლიტიკური ლიდერი გამოიკვეთა: კომპარტიის ლიდერი ზიუგანოვი და გენერალი ლებედი. ორივე როგორც დასავლეთის, ასევე რუსი ლიბერალების შეშფოთებას იწვევდა.

—ზიუგანოვის პრეზიდენტად არჩევა საბჭოთა წარსულში დაბრუნებას ნიშნავდა, ლებედი კი – სამხედრო დიქტატურას, –ამბობს ერთ-ერთი ინტერვიუში ხოდორკოვსკი.

რუს ოლიგარქებს უნდა მოეძებნათ ფიგურა, რომელიც როგორც კომუნისტებს, ასევე ზიუგანოვსაც გაანეიტრალებდა. არჩევანი შეჩერდა სუკის ყოფილ პოლკოვნიკ ვლადიმერ პუტინზე, რომელიც დიდ პოლიტიკაში სობჩაკმა მოიყვანა. სწორედ სობჩაკის დახმარებით დაუახლოვდა პუტინი კრემლის გავლენიან კარისკაც ვოლოშინს. პუტინის პერსონას მხარს უჭერდნენ ხოდორკოვსკი, ბერეზოვსკი და სხვები.

–მათ პუტინის საარჩევნო კომპანიის დაფინანსება იკისრეს. ბერეზოვსკიმ კი პუტინის სტრატეგიაც განსაზღვრა,–იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აღნიშნული სტრატეგია ჩეჩნეთში სისხლისღვრის განახლება და ჩეჩენი პარტიზანების განადგურება იყო. ამით პუტინმა პირველი ქულები ჩაიწერა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩიც პრეზიდენტი გახდა. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამას ხელი შეუწყო, ხოდორკოვსკი გახლდათ.

–სავალალოა მათ ხვედრი, ვინც მეფე ტახტზე აიყვანა,–წერდა თავის დროზე დიდი რუსი ისტორიკოსი კლიუჩევსკი.

პუტინმაც ხოდორკოვსკი, ბერეზოვსკი თუ სხვები თავიდან მოიშორა. ბერეზოვსკი ემიგრაციაში გადაიხვეწა, სადაც აღესრულა კიდეც, ხოდორკოვსკის კი გისოსებს მიღმა უკრეს თავი.

–საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით პუტინი იძულებული გახდა, ხოდორკოვსკი გაეთავისუფლებინა,–იტყობინება ბი-ბი-სი.

### რუსული ბიზნესი შეშფოთებულია

–პუტინი სტრატეგი არ არის! ის დღევანდელი დღის ინტერესებით ცხოვრობს და შორეულ გათვლებს არ აკეთებს,–იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პოლიტიკოსი, რომელიც სტრატეგიაში მოიკოჭლებს, ცუდი მეურნეა. რუსეთის ეკონომიკამაც დაღმა სვლა დაიწყო. მოსახლეობის ცხოვრების დონე დღითი-დღე უარესდებოდა. პუტინმაც ველიკოდერჟავულ გრძნობებზე თამაში გადაწყვიტა.

–რუსეთის მოსახლეობის 84 პროცენტი სსრ კავშირის აღდგენას მხარს უჭერს, –იტყობინება „დოიჩე ველე“.

სსრკ-ის აღორძინება უკვე შეუძლებელია. პუტინს ეს კარგად ესმის. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმაც ევრაზიული კავშირის იდეა წამოსწია, რაც რუსეთის გარშემო ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების შემოკრებას გულისხმობს. ფაქტობრივად, ეს ვარშავის ხელშეკრულების ანალოგიური სტრუქტურა უნდა იყოს, სადაც დომინირებული როლი რუსეთს ექნება.

–პუტინის მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერობაა,–წერს „გარდიანი“.

რიგი რესპუბლიკა ამას დათანხმდა. ე.წ. ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდნენ ბელორუსი, ყაზახეთი, სომხეთი; მოსალოდნელია ყირგიზეთის გაწევრიანებაც, თუმცა პუტინის უმთავრესი მიზანი უკრაინაზე კონტროლის დამყარებაა. იანუკოვიჩის დამხობით ამას ხაზი გადაესვა. ამის შემდეგ პუტინმა მეორე სათადარიგო გეგმა აამოქმედა, რაც მიზნად ისახავდა უკრაინის დაშლა-დანაწევრებას. ამას, ბუნებრივია, ომი მოჰყვა.

–უკრაინაში საომარმა მოქმედებებმა უკვე 10 000-მდე რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა,–განაცხადა ხოდორკოვსკიმ.

ოლიგარქი დაწვრილებით შეჩერდა იმ ფინანსურ ზარალზე, რაც რუსეთმა უკვე განიცადა. მანეთი დაეცა, იზრდება უმუშევრობა, უცხოური კაპიტალი რუსეთიდან გაედინება, ქვეყანა პოლიტიკურ იზოლაციაშია. პუტინი ცდილობს, ამას განვითარებადი ქვეყნების პოზიციების განმტკიცებით უპასუხოს, რასაც დამღუპველი შედეგი მოჰყვება.

–ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა კუბა, ნიკარაგუა და ა.შ. დიდ ფინანსურ დახმარებას საჭიროებენ. თუკი რუსეთმა მათ მილიარდები მისცა, ამას ჩვენს ქვეყანაში კოლაფსი მოჰყვება,–ამბობს ხოდორკოვსკი.

ოლიგარქი რუსეთში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაზე დაწვრილებით შეჩერდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის ხაზინა, ფაქტობრივად, ცარიელია და წლის ბოლოსათვის ქვეყანას დეფოლტი ემუქრება. თუკი დონბასში საომარი მოქმედებები განახლდება, ამას როგორც უკრაინელთა წინააღმდეგობა, ისე დასავლეთის მხრივ ახალი სანქციები მოყვება. მნიშვნელობა არა აქვს, მოხერხდება თუ არა მარიუპოლის აღება ან ყირიმისაკენ კორიდორის გაჭრა. საბოლოო შედეგი სრული კრახი და რუსეთში სოციალური აფეთქება იქნება.

–მარიუპოლი დიდი ქალაქია, მის ასაღებად სერიოზული ძალებია საჭირო. ამას გარდა კორიდორის გასაჭრელად არა მხოლოდ მარიუპოლის, ზაპოროჟიესა და ხერსონის აღებაცაა აუცილებელი. შემდეგ ამ კორიდორს შენარჩუნება უნდა, რასაც დამატებითი ცოცხალი ძალა და ფინანსები დასჭირდება,–ამბობს ხოდორკოვსკი.

საერთაშორისო იზოლაცია და სოციალური აფეთქების საფრთხე რუსულ ბიზნესს უკვე ძალიან აფრთხობს. არანაკლებ შემაშფოთებელია ის შოვინისტური ტალღა, რომელიც დღევანდელ რუსეთში არსებობს. შოვინიზმს იმედგაცრუება და რევოლუციები მოჰყვება ხოლმე. რუსული კაპიტალიც ამას კარგად აცნობიერებს და შეშფოთებულია.

### რამდენად შესაძლებელია პუტინის დამხობა?

შოვინისტური ეიფორიის წყალობით პუტინი ჯერჯერობით პოზიციებს ინარჩუნებს. დღეისათვის მისი რეიტინგი 86 პროცენტია. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩიც სულ უფრო მკვეთრი ანტიდასავლური პოზიციისაკენ იხრება.

–პუტინი თამაშობს რკინის კაცის როლს, რომელიც არავის ანგარიშს არ უწევს და რომლის მიზანიც იმპერიის აღორძინებაა,–იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამან როგორც აშშ-სთან, ისე ევროპასთან დაპირისპირება განაპირობა. ფაქტობრივად, დღეისათვის რუსეთ-დასავლეთს შორის ცივი ომია. რუსეთშიც ძლიერდება პოლიციური რეჟიმი, ავტორიტარული ტენდენციები. თეზისი „ამერიკული იმპერიალიზმი გვიტევს!“ ჯერჯერობით კარგად მუშაობს, რაც პუტინის ხელისუფლების სიძლიერესაც განაპირობებს.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, აღნიშნული ეიფორია მხოლოდ მანამდე გასტანს, სანამ რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესდება. დონბასის ომმა, შესაძლოა, პროცესები დააჩქაროს. რუსეთს ეს ომი ძალიან ძვირად უნდა დაუჯდეს, თუმცა საამისოდ დასავლეთმა მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს და რიგი კომპლექსური ღონისძიება განახორციელოს. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია უკრაინის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით აღჭურვა და სრული ფინანსური თუ პოლიტიკური დახმარების აღმოჩენა. პარალელურად ამას რუსული ოპოზიციის მხარდაჭერა უნდა მოყვეს.

–გაჭიანურებული ომი დონბასში, რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, საერთაშორისო იზოლაცია და კაპიტალის გადინება, რუსული ოპოზიციის გააქტიურება! ეს სქემა პუტინის რეჟიმის ან დამხობით, ან მისი ევოლუციით დასრულდება,–თვლის ამერიკელი ექსპერტი კლარკი.

ხოდორკოვსკი სერიოზული ფიგურაა. ის ფაქტი, რომ ის გააქტიურდა, ნათლად მიგვანიშნებს, რომ რუსეთში არის ძალები, რომელთაც შექმნილი მდგომარეობის ტრაგიზმი კარგად ესმით და, მიუხედავად პოლიციური რეჟიმისა თუ შოვინისტური ეიფორიისა, მზად არიან აქტიურად იმოქმედონ. ბრძოლა რთული და ხანგრძლივი იქნება. ადრე თუ გვიან პუტინის ხელისუფლება აუცილებლად დაემხობა, ან იძულებული იქნება, პოზიციები დათმოს, თუმცა დასავლეთს შეუძლია ეს პროცესი უფრო ნაკლებ მტკივნეული და ნაკლებად სისხლიანი გახადოს. აცნობიერებს ამას დასავლეთი?

**ნიკა თევზაძე**

## ჯონ ქერი: „აშშ სათადარიგო გეგმას აამოქმედებს“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ რუსეთი მინსკის შეთანხმებებს არ ასრულებს და უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციისათვის ემზადება. სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პუტინმა უკრაინელებს ფაქტიურად ულტიმატუმი წაუყენა: ან ჩემს პირობებს მიიღებთ, ან უკრაინა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს.

– ეს აბსოლუტურად მიუღებელი საქციელია! ასე მხოლოდ ნაცისტები აკეთებდნენ, –განაცხადა ქერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ამოქმედდება გეგმა, რომელიც რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებასა და უკრაინისათვის დახმარების გაზრდას ითვალისწინებს. ქერიმ თქვა, რომ პრეზიდენტი ობამა საბოლოო გადაწყვეტილებას გერმანიის კანცლერ მერკელთან საუბრის შემდეგ მიიღებს.

## ანტირუსული აქცია პრაღაში

ჩეხეთის დედაქალაქში არტ-ჯგუფმა „მენმა“ (კაცი) რუსეთის საელჩოსთან დემონსტრაცია მოაწყო. მანიფესტანტებს მოჰქონდა პლაკატები: „რუსეთო, ხელები შორს უკრაინისაგან!“ „პუტინი მკვლელია“ და ა.შ. მანიფესტანტებმა ხელბორკილით მიიბეს თავი რუსეთის საელჩოს რკინის ღობეებზე. ისინი მოითხოვდნენ, მსოფლიოს საზოგადოება რუსული ექსპანსიის წინააღმდეგ უფრო აქტიურად გამოვიდეს.

–უკრაინის შემდეგ სხვების ჯერიც დადგება! პუტინის შეჩერება აუცილებელია! – სკანდირებდნენ „მენის“ წარმომადგენლები.

## სპეცსამსახურებმა ერთ-ერთი ისლამისტი ტერორისტის ვინაობა დაადგინეს



სპეცსამსახურებმა ერთ-ერთი ისლამისტ -ტერორისტის ვინაობა დაადგინეს. საუბარია ბოევიკზე, რომელიც რამდენიმე ვიდეოზეა დაფიქსირებული. ხსენებული ბანდიტი მსხვერპლს აიძულებდა, დაეჩოქა, შემდეგ კი დანით ყელს სჭრიდა. პრესაში გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ ეს კაცი ინგლისელია და ლონდონში ცხოვრობს. აშშ-ის დაზვერვის ცნობით, თურმე ის ინგლისელი არ ყოფილა.

–მისი სახელია მოჰამედ ერვაზი, დაიბადა და გაიზარდა კუვეიტში, ხოლო უკანასკნელი წლების განმავლობაში ლონდონში ცხოვრობდა,–იტყობინება „ამერიკის ხმა“.

რადიკალური ისლამის იდეებმა ერვაზი კარგა ხნის წინ გაიტაცა. ამიტომ ის სირიაში გაემგზავრა და „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ ბოევიკი გახდა. ახლა მას რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახური დაეძებს. ერვაზის ხომ ბრალად ადამიანთა მკვლელობა და წამება ედება.

## გენერალი ბრიდლავი: „საქართველო საფრთხეშია!“

ევროპაში ნატოს გაერთიანებული ჯარის სარდალმა, გენერალმა ბრიდლავმა განაცხადა, რომ რუსეთი მხოლოდ უკრაინით არ შემოიფარგლება. მოსკოვი თავის თავდაცვით პოტენციალს სულ უფრო ზრდის, –თქვა გენერალმა და დაამატა, რომ უკრაინასთან ერთად კრემლის ბრჭყალებს მალე ისეთი ქვეყნებიც იწვნევენ, როგორებიც არიან საქართველო და მოლდოვა.

–მსურს, ამ ქვეყნების ლიდერებს მოვუწოდო, თავიანთი თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე იზრუნონ,–აცხადებს ბრიდლავი.



## საპროტესტო აქციები საბერძნეთში

ათენში საპროტესტო აქცია გაიმართა. მანიფესტანტები ახალი მთავრობის პოლიტიკას აპროტესტებდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ საარჩევნო დაპირებები არ სრულდება და ხელისუფლებამ „მკაცრი ეკონომიის“ პოლიტიკაზე უარი არ განაცხადა.

–აქციის დასრულების შემდეგ დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება–იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

შეტაკების შედეგად არც დაშავებულნი, არც დაკავებულნი არ არიან, თუმცა მანიფესტანტები იმუქრებიან, რომ ასეთი აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი — მეორე წრე

ჩვენი მკითხველების თხოვნით გთავაზობთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარს.

**მე-17 ტური**
28.02. შუქურა-გურია
28.02. კოლხეთი-დინამო (ბთ)
01.03. სიონი-დინამო (თბ)
01.03. ვიტ ჯორჯია-სამტრედია
01.03. მეტალურგი-ზუგდიდი
01.03. დილა-ტორპედო
01.03. ზესტაფონი-ჩიხურა
01.03. მერანი-ცხინვალი

**მე-18 ტური**
05.03. ტორპედო-მერანი
05.03. დინამო (ბთ)-დილა
05.03. გურია-მეტალურგი
05.03. დინამო (თბ)-ზესტაფონი
05.03. ცხინვალი-ვიტ ჯორჯია
05.03. ჩიხურა-შუქურა
05.03. სამტრედია-სიონი
06.03. ზუგდიდი-კოლხეთი

**მე-19 ტური**
13.03. ცხინვალი-სამტრედია
13.03. ზესტაფონი-სიონი
13.03. მერანი-დინამო (ბთ)
14.03. მეტალურგი-ჩიხურა
14.03. ვიტ ჯორჯია-ტორპედო
14.03. კოლხეთი-გურია
14.03. შუქურა-დინამო (თბ)
14.03. დილა-ზუგდიდი

**მე-20 ტური**
18.03. დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია
18.03. სამტრედია-ზესტაფონი
18.03. დინამო (თბ)-მეტალურგი
18.03. გურია-დილა
18.03. ჩიხურა-კოლხეთი
18.03. სიონი-შუქურა
18.03. ტორპედო-ცხინვალი
18.03. ზუგდიდი-მერანი

**21-ე ტური**
22.03. მერანი-გურია
22.03. ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი
22.03. მეტალურგი-სიონი
22.03. ცხინვალი-დინამო (ბთ)
22.03. შუქურა-ზესტაფონი
22.03. კოლხეთი-დინამო (თბ)
22.03. ტორპედო-სამტრედია
22.03. დილა-ჩიხურა

**22-ე ტური**
03.04. სამტრედია-შუქურა
03.04. დინამო (ბთ)-ტორპედო
03.04. ზესტაფონი-მეტალურგი
03.04. გურია-ვიტ ჯორჯია
03.04. დინამო (თბ)-დილა
03.04. ჩიხურა-მერანი
03.04. სიონი-კოლხეთი
03.04. ზუგდიდი-ცხინვალი

**23-ე ტური**
11.04. ვიტ ჯორჯია-ჩიხურა
11.04. მერანი-დინამო (თბ)
11.04. მეტალურგი-შუქურა
11.04. ცხინვალი-გურია
11.04. კოლხეთი-ზესტაფონი
11.04. ტორპედო-ზუგდიდი
11.04. დილა-სიონი



11.04. დინამო (ბთ)-სამტრედია

**24-ე ტური**
18.04. შუქურა-კოლხეთი
18.04. სიონი-მერანი
18.04. ზუგდიდი-დინამო (ბთ)
19.04. ჩიხურა-ცხინვალი
19.04. სამტრედია-მეტალურგი
19.04. ზესტაფონი-დილა
19.04. დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია
19.04. გურია-ტორპედო

**25-ე ტური**
24.04. ტორპედო-ჩიხურა
24.04. დილა-შუქურა
24.04. კოლხეთი-მეტალურგი
24.04. ცხინვალი-დინამო (თბ)
24.04. ვიტ ჯორჯია-სიონი
24.04. ზუგდიდი-სამტრედია
25.04. მერანი-ზესტაფონი
25.04. დინამო (ბთ)-გურია

**26-ე ტური**
01.05. გურია-ზუგდიდი
01.05. შუქურა-მერანი
02.05. სიონი-ცხინვალი
02.05. მეტალურგი-დილა
02.05. ჩიხურა-დინამო (ბთ)
02.05. დინამო (თბ)-ტორპედო
02.05. ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
02.05. სამტრედია-კოლხეთი

**27-ე ტური**
08.05. ვიტ ჯორჯია-შუქურა
08.05. მერანი-მეტალურგი
08.05. ზუგდიდი-ჩიხურა
09.05. ტორპედო-სიონი
09.05. დინამო (ბთ)-დინამო (თბ)
09.05. დილა-კოლხეთი
09.05. გურია-სამტრედია
09.05. ცხინვალი-ზესტაფონი

**28-ე ტური**
13.05. დინამო (თბ)-ზუგდიდი
13.05. სამტრედია-დილა
13.05. ზესტაფონი-ტორპედო
13.05. ჩიხურა-გურია
13.05. მეტალურგი-ვიტ ჯორჯია
13.05. სიონი-დინამო (ბთ)
13.05. შუქურა-ცხინვალი
13.05. კოლხეთი-მერანი

**29-ე ტური**
17.05. ცხინვალი-მეტალურგი
17.05. ჩიხურა-სამტრედია
17.05. ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
17.05. ტორპედო-შუქურა
17.05. მერანი-დილა
17.05. ზუგდიდი-სიონი
17.05. დინამო (ბთ)-ზესტაფონი
17.05. გურია-დინამო (თბ)

**30-ე ტური**
22.05. დინამო (თბ)-ჩიხურა
22.05. დილა-ვიტ ჯორჯია
22.05. სამტრედია-მერანი
22.05. ზესტაფონი-ზუგდიდი
22.05. მეტალურგი-ტორპედო
22.05. კოლხეთი-ცხინვალი
22.05. სიონი-გურია
22.05. შუქურა-დინამო (ბთ)

# გერმანიაში რურის დერბია, იტალიაში ლიდერების ჯახი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ვიქტორ ანიშებე

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ლიოდ ისროვი, ემანუელ მაიუკა, ტობი ალდერვეირელდი

**ნიუკასლი-ასტონ ვილა**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-დარილ იანმაატი, რემი კაბელა, პოლ დამერტი, ისმაილ ტიოტე, რობერტ ელიოტი, სტივენ ტეილორი, როლანდო აარონსი, სიმ დე იონგი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კირონ რიჩარდსონი, ნათან ბაკერი, ფილიპ სენდეროსი

**ლივერპული-სიტი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ხოსე ენრიკე, მამადუ სახო, ლუკასი, სტივენ ჯერარდი, ბრედ ჯონსი

სიტი: ***ტრავმ***-არავინ

**არსენალი-ევერტონი**

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რამზი, აბუ დიაბი, მიკელ არტეტა, მეტიუ დებუში

ევერტონი: ***ტრავმ***-ბრაიან ოვიედო, ტონი ჰიბერტი, აიდენ მაკგიდი, ლეონ ოსმანი, სტივენ პიენაარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 26 | 18 | 6 | 2 | 56-22 | 60 |
| სიტი | 26 | 16 | 7 | 3 | 56-25 | 55 |
| არსენალი | 26 | 14 | 6 | 6 | 49-29 | 48 |
| მანჩესტერი | 26 | 13 | 8 | 5 | 44-26 | 47 |
| საუთჰემპტონი | 26 | 14 | 4 | 8 | 38-19 | 46 |
| ლივერპული | 26 | 13 | 6 | 7 | 38-29 | 45 |
| ტოტენჰემი | 26 | 13 | 5 | 8 | 41-36 | 44 |
| ვესტ ჰემი | 26 | 10 | 9 | 7 | 38-30 | 39 |
| სუონსი | 26 | 10 | 7 | 9 | 30-34 | 37 |
| სტოკი | 26 | 10 | 6 | 10 | 30-34 | 36 |
| ნიუკასლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-42 | 32 |
| ევერტონი | 26 | 6 | 10 | 10 | 33-37 | 28 |
| კრ.პალასი | 26 | 6 | 9 | 11 | 28-37 | 27 |
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| ჰალი | 26 | 6 | 8 | 12 | 25-35 | 26 |
| სანდერლენდი | 26 | 4 | 13 | 9 | 22-36 | 25 |
| ქპრ | 26 | 6 | 4 | 16 | 27-45 | 22 |
| ბარნლი | 26 | 4 | 10 | 12 | 25-44 | 22 |
| ასტონ ვილა | 26 | 5 | 7 | 14 | 13-36 | 22 |
| ლესტერი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-42 | 18 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.01 გრანადა-ბარსელონა | 17.0 | 7.0 | 1.17 |
| 28.01 რაიო-ლევანტე | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 28.01 ალმერია-დეპორტივო | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 28.01 მალაგა-ხეტაფე | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 01.01 ვალენსია-სოსიედადი | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 01.01 ეიბარი-ბილბაო | 3.25 | 2.9 | 2.45 |
| 01.01 სევილია-ატლეტიკო | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 01.01 რეალი-ვილიარეალი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 02.01 სელტა-ელჩე | 1.53 | 3.8 | 7.0 |

**გრანადა-ბარსელონა**

გრანადა: ***ტრავმ***-პიტი, სულეიმან მარე, ჯეისონ მირილიო; ***დისკვ***-ხუან კარლოსი, იუსუფ ელ არაბი, ადრიან კოლუნგა, ემანუელ ინსუა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი; ***დისკვ*** ხერარდ პიკე

**რაიო-ლევანტე**

რაიო: ***ტრავმ***-ტონო

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ივან რამისი

**ალმერია-დეპორტივო**

ალმერია: ***ტრავმ***-რუბენი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხოსე ტოჩე, ელდერ პოშტიგა; ***დისკვ***-ალბერტო ლოპო

**მალაგა-ხეტაფე**

მალაგა: ***ტრავმ***-არავინ

ხეტაფე: ***ტრავმ***-რობერტო ლაგო, ანგელ ლაფიტა, ბაბა დიავარა; ***დისკვ***-მეჰდი ლაკენი

**ვალენსია-სოსიედადი**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

სოსიედადი: ***ტრავმ***-დავიდ ზურუტუზა, მიკელ გონსალესი, კარლოს ველა, კარლოს მარტინესი

**ეიბარი-ბილბაო**

ეიბარი: ***ტრავმ***-აბრაჰამ მინერო

ბილბაო: ***ტრავმ***-უნაი ბუსტინზა, ანდერ იტურასპე

**სევილია-ატლეტიკო**

სევილია: ***ტრავმ***-შტეფან მბია, ბეტო, იაგო ასპასი, კოკე ანდუარი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-კოკე; ***დისკვ***-გილერმე სიქუერა

**რეალი-ვილიარეალი**

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, სამი ხედირა, ხამეს როდრიგესი, ლუკა მოდრიჩი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ბრუნო სორიანო, ადრიან მარინი

**სელტა-ელჩე**

სელტა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-სერხიო გომესი

ელჩე: ***ტრავმ***-პედრო მოსკერა; ***დისკვ***-ენცო როკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 20 | 0 | 4 | 74-22 | 60 |
| ბარსელონა | 24 | 18 | 2 | 4 | 67-14 | 56 |
| ატლეტიკო | 24 | 17 | 2 | 5 | 50-22 | 53 |
| ვალენსია | 24 | 15 | 5 | 4 | 43-21 | 50 |
| სევილია | 24 | 14 | 3 | 7 | 42-30 | 45 |
| ვილიარეალი | 24 | 13 | 5 | 6 | 38-22 | 44 |
| მალაგა | 24 | 11 | 5 | 8 | 26-27 | 38 |
| სელტა | 24 | 8 | 7 | 9 | 25-24 | 31 |
| ესპანიოლი | 24 | 8 | 5 | 11 | 31-36 | 29 |
| სოსიედადი | 24 | 6 | 9 | 9 | 28-34 | 27 |
| ეიბარი | 24 | 7 | 6 | 11 | 25-33 | 27 |
| ბილბაო | 24 | 7 | 6 | 11 | 21-31 | 27 |
| ხეტაფე | 24 | 7 | 5 | 12 | 20-32 | 26 |
| რაიო | 24 | 8 | 2 | 14 | 24-41 | 26 |
| დეპორტივო | 24 | 6 | 6 | 12 | 20-38 | 24 |
| ალმერია | 24 | 6 | 5 | 13 | 22-39 | 23 |
| ელჩე | 24 | 6 | 5 | 13 | 21-44 | 23 |
| ლევანტე | 24 | 5 | 7 | 12 | 19-44 | 22 |
| გრანადა | 24 | 3 | 10 | 11 | 15-37 | 19 |
| კორდობა | 24 | 3 | 9 | 12 | 18-38 | 18 |

**გერმანია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.01 ჰერტა-აუგსბურგი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 28.01 ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 28.01 ჰოფენჰაიმი-მაინცი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 28.01 დორტმუნდი-შალკე | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 28.01 ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 28.01 აინტრახტი-ჰამბურგი | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 01.01 გლადბახი-პადერბორნი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 01.01 ვერდერი-ვოლფსბურგი | 3.4 | 3.75 | 2.0 |

**ჰერტა-აუგსბურგი**

ჰერტა: ***ტრავმ***-რუნ იარშტეინი, იოანეს ვან დერ ბერგი, ანის ბენ-ჰატირა

აუგსბურგი: ***ტრავმ***-პოლ ვერაე, ალექსანდერ ესვეინი, ჰონგ იონგ-ჰო, საშა მოლდერსი, ტიმ მატავზი

**ლევერკუზენი-ფრაიბურგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ტინ იედვაი, რობი კრუსე

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მიკ ფრანტცი, მატს დაელი, ნილს პეტერსენი, მარკ ოლივერ-კემპი, ადმირ მემედი, სტეფან მიტროვიჩი

**ჰოფენჰაიმი-მაინცი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სტივენ ზუბერი, ნიკლას სულე

მაინცი: ***ტრავმ***-კრისტოფ მორიტცი

**დორტმუნდი-შალკე**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-კევინ გროსკროიცი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი, ერიკ დურმი

შალკე: ***ტრავმ***-ფაბიან გიფერი, რალფ ფარმანი, ჩინედუ ობასი, ჯულიან დრექსლერი, ჯეფერსონ ფარფანი

**ჰანოვერი-შტუტგარტი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ფელიპე

შტუტგარტი: ***ტრავმ***-სერხან სარარერი, დანიელ დიდავი, ანტონიო რუდიგერი

**აინტრახტი-ჰამბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდარ იგნიოვსკი, კონსტანტ ჯაკპა, ნელსონ ვალდესი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მარსელ იანსენი, ნიკოლაი მიულერი, ჯულიან გრინი, ვალონ ბაჰრამი, ლუის ჰოლტბი

**გლადბახი-პადერბორნი**

გლადბახი: ***ტრავმ***-არავინ

პადერბორნი: ***ტრავმ***-ტომას ბერტელსი

**ვერდერი-ვოლფსბურგი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ლუკა კარდიროლა, მერვინ ლორენცენი, ალეხანდრო კალვესი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ივან პერიშიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 17 | 4 | 1 | 59-9 | 55 |
| ვოლფსბურგი | 22 | 14 | 5 | 3 | 48-24 | 47 |
| გლადბახი | 22 | 10 | 7 | 5 | 29-18 | 37 |
| შალკე | 22 | 10 | 5 | 7 | 32-24 | 35 |
| აუგსბურგი | 22 | 11 | 2 | 9 | 32-29 | 35 |
| ლევერკუზენი | 22 | 8 | 9 | 5 | 36-29 | 33 |
| ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 6 | 8 | 34-35 | 30 |
| ვერდერი | 22 | 8 | 6 | 8 | 36-44 | 30 |
| აინტრახტი | 22 | 7 | 7 | 8 | 40-44 | 28 |
| ჰანოვერი | 22 | 7 | 5 | 10 | 25-33 | 26 |
| მაინცი | 22 | 5 | 10 | 7 | 30-31 | 25 |
| დორტმუნდი | 22 | 7 | 4 | 11 | 28-31 | 25 |
| კიოლნი | 22 | 6 | 7 | 9 | 20-25 | 25 |
| ჰამბურგი | 22 | 6 | 6 | 10 | 15-31 | 24 |
| პადერბორნი | 22 | 5 | 8 | 9 | 23-41 | 23 |
| ფრაიბურგი | 22 | 4 | 10 | 8 | 24-31 | 22 |
| ჰერტა | 22 | 6 | 3 | 13 | 27-42 | 21 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.01 კიევო-მილანი | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| 01.01 კალიარი-ვერონა | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 01.01 ატალანტა-სამპდორია | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 01.01 სასუოლო-ლაციო | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 01.01 ჯენოა-პარმა | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 01.01 ჩეზენა-უდინეზე | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| 01.01 პალერმო-ემპოლი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 01.01 ინტერი-ფიორენტინა | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 01.01 ტორინო-ნაპოლი | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 02.01 რომა-იუვენტუსი | 3.2 | 3.2 | 2.3 |

**კიევო-მილანი**

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლას ფრეი; რუბენ ბოტა

მილანი: ***ტრავმ***-გაბრიელ პალეტა, იგნასიო აბატე, შტეფაბ ელ შაარავი, მატის დე სკილიო, კრისტიან ზაპატა

**კალიარი-ვერონა**

კალიარი: ***ტრავმ***-ანტონიო ბალზანო

ვერონა: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-სამპდორია**

ატალანტა: ***ტრავმ***-დავიდე ზაპაკოსტა, ჯუზეპე ბიავა, მაქსიმილიანო მორალესი, კრისტიან რაიმონდი, მარსელო ესტიგარიბია; ***დისკვ***-ჯულიო მილაჩიო

სამპდორია: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი, ფაბრიციო კაჩიატორე; ***დისკვ***-პედრო მბა ობიანგი, კიტადინ ედერი, რობერტო სორიანო

**სასუოლო-ლაციო**

სასუოლო: ***ტრავმ***-პაოლო კანავარო, ლუკა ანტეი, სიმე ვრსალიკო, ემანუელე ტერანოვა; ***დისკვ***-ფრანჩესკო მანანელი

ლაციო: ***ტრავმ***-ბრუნო პერეირა, ფილიპ ჯორჯევიჩი, სენად ლულიჩი, მაიკლ კიანი, სანტიაგო ჯენტილეტი

**ჯენოა-პარმა**

ჯენოა: ***ტრავმ***-ლუკა ანტონინი, ტინო კოსტა, ჯოვანი მარკეზე

პარმა: ***ტრავმ***-არავინ

**ჩეზენა-უდინეზე**

ჩეზენა: ***ტრავმ***-ნიკო პულზეტი, რიკარდო კაზოლა, ლუკა ვალჟანია, ანდრეა ტაბანელი, გვიდო მარილუნგო; ***დისკვ***-მასიმო ვოლტა, სტეფანო ლუჩიჩი, ლუიჯი ჯორჯი

უდინეზე: ***ტრავმ***-მაურისიო დომიცი, ალეხანდრო გეიო

**პალერმო-ემპოლი**

პალერმო: ***ტრავმ***-აჩრაფ ლაზაარი; ***დისკვ***-ედგარ ბარეტო

ემპოლი: ***ტრავმ***-ტიბერიო გუარენტე

**ინტერი-ფიორენტინა**

ინტერი: ***ტრავმ***-იუტო ნაგატომო; ჯონათან მორეირა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ჩიპრიან ტატარუსანუ, ფედერიკო ბერნანდეში

**ტორინო-ნაპოლი**

ტორინო: ***ტრავმ***-სალვატორე მასიელო; ***დისკვ***-ჯუზეპე ვივესი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ინსინიე, მიჩუ, ხუან ზუნიგა; ***დისკვ***-დრის მერტენსი

**რომა-იუვენტუსი**

რომა: ***ტრავმ***-მაიკონი, კევინ სტროოტმანი, ლეანდრო კასტანი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ანდრეა პირლო, რომულო, კვადვო ასამოა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 17 | 6 | 1 | 51-13 | 57 |
| რომა | 24 | 13 | 9 | 2 | 37-18 | 48 |
| ნაპოლი | 24 | 13 | 6 | 5 | 44-30 | 45 |
| ლაციო | 24 | 12 | 4 | 8 | 40-27 | 40 |
| ფიორენტინა | 24 | 10 | 9 | 5 | 36-24 | 39 |
| სამპდორია | 24 | 8 | 12 | 4 | 30-27 | 36 |
| ჯენოა | 24 | 9 | 9 | 6 | 36-29 | 36 |
| ინტერი | 24 | 9 | 8 | 7 | 39-31 | 35 |
| მილანი | 24 | 8 | 9 | 7 | 35-30 | 33 |
| ტორინო | 24 | 8 | 9 | 7 | 27-25 | 33 |
| პალერმო | 24 | 8 | 9 | 7 | 38-39 | 33 |
| სასუოლო | 24 | 6 | 11 | 7 | 29-35 | 29 |
| უდინეზე | 23 | 7 | 7 | 9 | 26-31 | 28 |
| ემპოლი | 24 | 5 | 12 | 7 | 25-27 | 27 |
| ვერონა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-43 | 25 |
| კიევო | 24 | 6 | 6 | 12 | 18-30 | 24 |
| ატალანტა | 24 | 5 | 8 | 11 | 21-35 | 23 |
| კალიარი | 24 | 4 | 8 | 12 | 31-45 | 20 |
| ჩეზენა | 24 | 3 | 7 | 14 | 23-47 | 16 |
| პარმა | 23 | 3 | 2 | 18 | 20-47 | 10 |

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.01 ლილი-ლიონი | 2.75 | 3.0 | 2.75 |
| 28.01 ბორდო-რეიმსი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 28.01 ლორიანი-ბასტია | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 28.01 მეცი-ევიანი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 28.01 ლანსი-რენი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 28.01 ტულუზა-სტ.ეტიენი | 2.9 | 2.87 | 2.7 |
| 01.01 ნანტი-გენგამი | 2.2 | 3.1 | 3.6 |
| 01.01 მონპელიე-ნიცა | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 01.01 მონაკო-პსჟ | 3.3 | 3.1 | 2.3 |

**ლილი-ლიონი**

ლილი: ***ტრავმ***-მაიკლ ფრეი, ადამა სუმარუ, მარვინ მარტინი

ლიონი: ***ტრავმ***-არნოლდ მვუემბა, კრისტიფერ ჯალე, მილან ბისევაჩი

**ბორდო-რეიმსი**

ბორდო: ***ტრავმ***-ტიაგო ილორი, იუნის კააბუნი, აზბე იუგი, ჟულიენ ფობერი, ჩეიკ დიაბატე

რეიმსი: ***ტრავმ***-მადს ალბეკი, საშა ბასტიენი

**ლორიანი-ბასტია**

ლორიანი: ***ტრავმ***-პედრინიო, ფაბიენ რობერი, იან ჟოფრე

ბასტია: ***ტრავმ***-მეთიუ პებერნესი, იანიკ კაუზაკი, ჯიბრილ სისე, კრისტოფერ მაბულუ, ჯუნიორ ტალო, ელ-ჰაჯიბა

**მეცი-ევიანი**

მეცი: ***ტრავმ***-რომან როკი, ტიბო ვიონი, ფლორენ მალუდა, ფედერიკო ანდრადა

ევიანი: ***ტრავმ***-ფაბიენ გამუ, მილოშ ნინკოვიჩი

**ლანსი-რენი**

ლანსი: ***ტრავმ***-რუდი რიო, დიმიტრი კევინ კამარე, ლალაინა ნომენიანაარუ, დემე ნდიაე

რენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ანდრე, ფილიპ ჰოსინერი

**ტულუზა-სტ.ეტიენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ტონგო დუმბია, უილიამ მეთიუ

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალან სანტ-მაქსიმი, ბენჯამინ კორნე, რენო კოდე, ფლორენტინ პოგბა

**ნანტი-გენგამი**

ნანტი: ***ტრავმ***-ალეხანდრო ბედოია, იოან აუდელი

გენგამი: ***ტრავმ***-მარკუს კოკო, ლადისლას დუმინა

**მონპელიე-ნიცა**

მონპელიე: ***ტრავმ***-ლუკას ბარიოსი, ანტუან რიბელინი, იონას მარტინი

ნიცა: ***ტრავმ***-გრეგუარ პო, მეთიუ ბოდმერი, დიდიე დიუგარი

**მონაკო-პსჟ**

მონაკო: ***ტრავმ***-რიკარდუ კარვალიუ, ანდრეა რაგი, ტიემო ბაკაიოკო

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო მოტა, იოან კაბაიე, სერჟ აურიერი, ლუკას მოურა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 26 | 16 | 6 | 4 | 50-19 | 54 |
| პსჟ | 26 | 14 | 10 | 2 | 46-23 | 52 |
| მარსელი | 26 | 15 | 5 | 6 | 48-27 | 50 |
| მონაკო | 25 | 12 | 7 | 6 | 26-19 | 43 |
| სტ.ეტიენი | 26 | 11 | 9 | 6 | 29-21 | 42 |
| ბორდო | 26 | 11 | 8 | 7 | 31-31 | 41 |
| მონპელიე | 25 | 11 | 6 | 8 | 33-24 | 39 |
| გენგამი | 26 | 11 | 2 | 13 | 30-38 | 35 |
| ნიცა | 26 | 9 | 7 | 10 | 28-30 | 34 |
| ბასტია | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| ნანტი | 26 | 8 | 9 | 9 | 20-26 | 33 |
| ლილი | 26 | 8 | 8 | 10 | 21-23 | 32 |
| რენი | 26 | 8 | 8 | 10 | 26-34 | 32 |
| კაენი | 26 | 8 | 7 | 11 | 39-38 | 31 |
| რეიმსი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-42 | 31 |
| ლორიანი | 25 | 8 | 4 | 13 | 29-34 | 28 |
| ტულუზა | 26 | 8 | 4 | 14 | 27-40 | 28 |
| ევიანი | 25 | 8 | 2 | 15 | 26-40 | 26 |
| ლანსი | 26 | 5 | 7 | 14 | 25-38 | 22 |
| მეცი | 26 | 5 | 7 | 14 | 19-36 | 22 |

# განცხადებები


### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

### რემონტი

● ვასრულებსამღებრო-„სამალიარო"სამუშაოებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 599-26-18-55.

### სწავლა

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


# მარკუს მეტრეველს მეგობარი ქალი პასუხობს

ეკა ირემაშვილი

გასულ კვირას მარკუს მეტრეველმა თავისი მეგობარი ქალი ლელა მიქელაძე დიდი ზარზეიმით წარუდგინა ფართო საზოგადოებას, მაგრამ მათმა მეგობრობამ დიდხანს ვერ გასტანა. მარკუსი და ლელა დაშორდნენ და ახლა ერთმანეთისთვის ბრალდებების წაყენებით არიან დაკავებული. მარკუს მეტრეველის კომენტარის შემდეგ, ლელა მიქელაძემაც გადაწყვიტა ამ თემაზე კომენტარი გაეკეთებინა:

„ჩავთვალე საჭიროდ, რომ მარკუს მეტრეველმა რის გამოც შეურაცხყოფა მომაყენა, ამის შესახებ საზოგადოებას გაეგო, სინამდვილეში რა და როგორ იყო, რა ხდებოდა სინამდვილეში ჩვენ შორის და რა მიზეზით მოხდა ჩვენ შორის განხეთქილება. მე არ მიყვარს მარკუს კონჩიტასავით ტუალეტების სარკეებში სელფების გადაღება, თორემ კარგად ხედავს ყველა ის ადამიანი, ვისაც ყოველდღიურად ვხვდები, რომ რაც ჩამოსული ვარ თბილისში, რამდენიმე თვის მანძილზე ერთი და იგივე შმოტკა არასდროს მცმია. მე თვითონ ბუნებით ვარ ასეთი, ერთხელ რომ ჩავიცვამ, მეორე დღეს არ შემიძლია იგივე სამოსის ჩაცმა. ტუალეტებიდან გამოვიყვანე, საშუალება მივეცი, რომ ნორმალურ საზოგადოებასთან ჰქონოდა შეხება გარდა შოუბიზნესისა და ეს მაიმუნი მე მეჯიბრება და მასწავლის ცხოვრებას და ჭკუას. პირველად რომ შევხვდი რედისონში, ლაჟღაჟა წითელი შარვლით და ლაჟღაჟა წითელი მაისურით მოვიდა შეხვედრაზე. დაცვის ბიჭები თავებს გვერდზე ატრიალებდნენ, ხალხი შოკში იყო, ლელა ვისთან ერთად შემოვიდა ყავის დასალევადო. ყველგან მაინც გავანეიტრალე სიტუაცია. მე ადამიანს რა აცვია, მაგით არასდროს ვაფასებ. ეს ტაკიმასხარა ჩაცმის კულტურას რომ მე მასწავლის, ცოტა სასაცილოა რაა. სუპერქალი სდომებია თურმე, რომ ვყოფილიყავი, კონჩიტას მის გვერდით. როგორ ზრუნავს ჩემზე, გარდერობი გაააახლეო, მე მიგიყვან და გაყიდინებო, ეტყობა, სხვაგან რომ ვერ ჩამადებინეს ინვესტიცია, ახლა შმოტკებში უნდათ, რომ ფული ჩამადებინონ. ვაა, მაგარია. ქალი დუბაიში ვცხოვრობ 12 წელია, თუ რამე ბრენდი არსებობს საუკეთესო არ დამიტოვებია გულგრილი და ახლა ამ კონჩიტას გემოვნებით უნდა ჩავიცვა მე თურმე. ვაი, შე საცოდავო! ჯობია, საკუთარ თავზე იზრუნო, იმის ფული არა აქვს, დედამისს საბანკო ანგარიშზე რომ დაუდოს, ქალი ზის და საბერძნეთში ვერ მიდის."



როგორც ლელა მიქელაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, მასა და მარკუსს შორის არანაირი სასიყვარულო ურთიერთობა არ ყოფილა:

„მე ეს ყველაფერი მარკუსის გამო გავაკეთე. მას უყვარს პიარი, სკანდალები და ჩემით კარგი პიარი გაიკეთა. პირველი უთანხმოება მაშინ მოგვივიდა, როცა „ერთგულების ტესტში" მონაწილეობა მთხოვა. უარი ვუთხარი, მის ერთგულებასთან რა შუაში ვიყავი? ერთხელ ისიც მთხოვა, მოდი ვთქვათ, ვითომ მანქანა მაჩუქეო. დახმარებაც მთხოვა, ვინმე ხომ არ გყავს, ვინც ანგარიშზე 5000 დოლარს დამიდებსო. ჩვენი ურთიერთობა იყო მხოლოდ მეგობრობა და მეტი არაფერი. მარკო ქუდმოხდილიც არ მყავს ნანახი, სულ ვეხვეწებოდი, მოიხადე ქუდი-მეთქი, მაგრამ უარს მეუბნებოდა. არც მე ვყოფილვარ მის სახლში და არც ის ყოფილა ჩემს სახლში. მარკუსს კაცად როგორ აღვიქვამდი? 8 წელია არაბი მეგობარი მამაკაცი მყავს და მან იცოდა მარკუსის შესახებ. არ ვიცი, ერთხელაც რა დაემართა, მომწერა, თუ გინდა ჩემს გვერდით იარო, ეგ ძონძები გადაყარე და კარგ ტანსაცმელს გაყიდინებო, თან მლანძღავდა. არ ვარ ის ქალი, ვინმეს რამე ვაპატიო. მან ჯერ კიდევ არ იცის, ვისთან აქვს საქმე. მინდა ხალხმა იცოდეს, ვინ არის მარკუს მეტრეველი, რომ თავისი პიარით არ შეიყვანოს შეცდომაში. მან ჩემი სახით კარგი მეგობარი დაკარგა, საკუთარ თავში ჩაიხედოს და ამას ყველაზე კარგად მიხვდება."

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზური კუთხე გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში აფხაზური კუთხე გაიხსნა, სადაც განთავსდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული აფხაზური ლიტერატურა და პერიოდიკა. მალე ბიბლიოთეკაში ოსური კუთხის გახსნაც იგეგმება.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის ინფორმაციით, კუთხის გახსნა აფხაზური ენის, მწერლობის, კულტურისა და ისტორიის შესწავლისა და კვლევის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. აფხაზური კუთხე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივითა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით მოხდა. ამ დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში აფხაზური კუთხის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც გაიმართა.

**გიორგი კეკელიძე:**

– ამიერიდან ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული შენობის შემოსასვლელში სტუმარს დახვდება აფხაზური ღია საბიბლიოთეკო სტენდები, რომელიც შეივსო შესაბამისი ლიტერატურით. ეს არის ჩვენი გზავნილი, რომ აფხაზებს აქვთ საკუთარი ენა და ლიტერატურა და, რომ ისინი საქართველოს ფარგლებში არიან. ეს კუთხე ჩვენ ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით გავხსენით. კუთხე ჰქვია ამ ბიბლიოთეკას, მაგრამ ალბათ უფრო კარგი იქნება, ღია ბიბლიოთეკა დავარქვათ. ეს გულისხმობს იმას, ქართველები ვადასტურებთ, რომ აფხაზებს აქვთ ცალკე ენა,



საკუთარი კულტურა და ის იმსახურებს ყველა შემთხვევაში გამოყოფას, მაგრამ ეს ხალხი არის ჩვენს შემადგენლობაში თავისი ტერიტორიითურთ. პირველი და მნიშვნელოვანი არის ხალხი და მერე ტერიტორია. ხალხი ქმნის იმ კულტურას, რომელიც წარმოდგენილია ამ ღია ბიბლიოთეკაში. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გავხსენით ეს ბიბლიოთეკა, მესამე კორპუსის შესასვლელში, რომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გაეცნოს. გაერომ კომპიუტერი მოგვცა, ჩვენი ყველა რესურსი გამოვიყენეთ, პერიოდული მასალებიც და ციფრულ კოლექციებში დაცული სპეციალური კოლექციებიც. ეს არა მარტო სასურველი, აუცილებელი ამბავიც იყო და სად, თუ არა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უნდა იყოს მინიშნება იმაზე, რომ ჩვენთან, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში არსებობს ასეთი კულტურაც. საბედნიეროდ, წიგნები ბევრი მოგროვდა, ხელუხლებელ ფონდშიც არის უძველესი წიგნები აფხაზურ ენაზე. აქ იქნება მუდმივმოქმედი გამოფენა, ეს იქნება ქართულიდან ნათარგმნი აფხაზურად და პირიქით, ასევე მხატვრული ლიტერატურა და ლექსიკონი, პერიოდული პრესაც. საგამოფენო დარბაზში სამი წიგნის პატარა პრეზენტაციაც მოვაწყვეთ, წარმოვადგინეთ აფხაზური ფოლკლორიც, ასევე ერმაკოვის 40-მდე ფოტო აფხაზეთზე. კარგად მესმის, რომ აფხაზეთის პრობლემა დღეს და ხვალ არ მოგვარდება, მაგრამ კარგად მესმის ისიც, რომ ჩვენ ისევ უნდა დავუახლოოთ ჩვენი კულტურები ერთმანეთს სხვა, მესამე ქვეყნის გვერდის ავლით, რომელიც ყოველთვის შეეცდება, რომ ეს კულტურები დააშოროს და მკაფიოდ „მიგვანიშნოს" იმაზე, რომ ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ გვქონია არასდროს. ჩვენს ხელთ არსებული წიგნების გაგზავნას ნამდვილად ვაპირებთ სოხუმში, რათა მათ იცოდნენ, რომ თბილისში კეთდება მათი კულტურისა და ენის პატივსაცემად მუდმივმოქმედი კუთხე.

# რატი დურგლიშვილი საქართველოდან მიდის?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და კარგი მოგონება მაკავშირებს. როდესაც ბევრი საავტორო სიმღერა დამიგროვდა, გადავწყვიტე, სოლო კარიერა დამეწყო. ჩავწერე სიმღერები ევროპულ ხმის ჩამწერ სტუდიებში და იქიდან ერთ-ერთი „ქაღალდის ნავი" უკვე წარვუდგინე ჩემს მსმენელს. მათი და ჩემი მეგობრების აზრი ძალიან მაინტერესებს. რადიოსივრცეში პირველად გავაჟღერე ინფორმაცია ჩემს ახალ პროექტზე, ჩემს სოლო კარიერაზე. „ქაღალდის ნავი" არის ახალი ალბომიდან „სევენ" (შვიდი), ალბომს ასე იმიტომ ჰქვია, რომ სამში შვიდი სიმღერაა შესული, სამი არის ქართულენოვანი, დანარჩენი ინგლისურენოვანი. ჩემი სურვილი ყოველთვის იყო ჩამეწერა ალბომი, ბევრი სიმღერა დამიგროვდა, ალბათ 60-მდე მექნება და ეს იქცა ჩემს მთავარ მიზნად. იმდენად მომწონდა ჩემი ნამუშევრები მე თვითონ, ვიფიქრე, ხომ არ გამოვუშვა ცალკე ალბომი-მეთქი და ოცნება რეალობად ვაქციე. ბევრი მეგობარი მყავს, ვინც მეხმარება, არის ლეიბლები, სადაც აგზავნი შენს სიმღერებს, ან ისინი ასმენინებენ პროდიუსერებს. დაინტერესდნენ ჩემი შემოქმედებით, იმიტომ, რომ ყველა რასაც აღნიშნავს, არის ის, რომ ჩემი სიმღერები არ ჰგავს სხვა სიმღერებს, ინდივიდუალური სტილია და თვლიან, რომ ეს წარმატებული იქნება სამომავლოდ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პროდუქტი გამოვიდა ქართული, ამით ჩემს მსმენელს და ჩემს ქვეყანას ვეფერები. ყველამ აღნიშნა, რომ კარგია, საქართველოში ასეთი ხალხი რომ არისო. საბედნიეროდ, ბევრი ნიჭიერია საქართველოში. სულ მალე ჩემი სიმღერის „ქაღალდის ნავის" კლიპი მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მუსიკალურ საიტზე „ვევოზეც" დაიდება. ერთადერთი პრეტენზია მაქვს ხარისხზე, ამიტომაც გადავწყვიტე უცხოეთში ჩამეწერა ალბომი. იქ ყველაფერი კონტრაქტებზეა, არანჟირებას რომ ვაკეთებთ და გიტარასაც კი რომ ცვლიან, ამაზეც კონტრაქტს ვაფორმებთ. იქ სიმღერა არის ყველანაირად დაცული. აითუნსზე რომ დაიდო ჩემი სიმღერა, მოიპარა ვიღაცამ, დადო იუთუბზე და ორ საათში გააქრეს. საავტორო უფლებები იქ ძალიან დაცულია, სტუდიაშიც დაცულია და ბევრ ორგანიზაციებთან მაქვს გაფორმებული ხელშეკრულებები, რომ ჩემი შემოქმედება იყოს დაცული. ჩემი ალბომი და სიმღერები მზადდება საზღვარგარეთ, ყველაფერს ვქმნი მე, არანჟირებასაც თვითონ ვაკეთებ. შავი ვარიანტი ე.წ. „ბალვანკა" იქმნება, მერე ვოკალს ვადებ, მუშავდება სიმღერა და მერე იგზავნება საზღვარგარეთ, სადაც მისი გასუფთავება და გადაწერა იწყება. მინდოდა ჩემი ალბომი სტანდარტული ხარისხის ყოფილიყო და მგონია, რომ გამომივიდა.

ეკა ირემაშვილი

# ყველაზე სექსუალური სახელები

მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ სახელებად ალესანდრო და სკარლეტი აღიარეს. შესაბამისი რეიტინგი ათი ათასამდე თავისი მკითხველის გამოკითხვის შედეგად ინტერნეტ რესურსმა Baby Name Wizard-მა შეადგინა.

ქალთა სექსუალური სახელების ტოპათეულში შევიდა შემდეგი სახელები: სკარლეტი, ნიკოლეტი, ნატალია, ანაისი, პაულინა, ალესანდრა, შანელი, სორაია, ადრიანა და ჯულიანა.

ყველაზე ეროტიკული მამაკაცების სახელების ტოპათეულში შემდეგი სახელები შევიდა: ალესანდრო, ლორენცო, პეტი, რომეო, მატეო, დიმიტრი, დეინი, მარჩელო, დანტე და რემი.

პორტალის მკითხველებმა ასევე დაასახელეს ყველაზე ნაკლებ სექსუალური სახელები. მათი აზრით, მამაკაცების ასეთი სახელების რიგს განეკუთვნება: ბობი, ერნესტი, ნორმანი, დიკი და ჰოვარდი, ხოლო ქალების ნაკლებად სექსუალური სახელებია: ჰერტრუდა, ბერტა, აგნესი, ესტელი და მილდრედი.



ვებგვერდის დამფუძნებელმა ლორა უოტენბერგმა განაცხადა, რომ ამ გამოკვლევის ჩატარებას ხუთი წელი დასჭირდა.


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 2 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.40 "პირადი ექიმი" 11.00, 02.20 "სამოთხის ვაშლები" 12.40, 03.20 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 14.20 "მეხსიერება" 15.00 ტ/სერ. "მეცამეტე მოციქული" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო" 22.00 "არენა 23.30 მხ/ფ "დახეული ფარდა" (პ.ნიუმენი)

08.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 09.00 მხ/ფ "სამყარო მშვენიერია" 10.40 დ/ფ "ავსტრალია" 11.10 დ/ფ "ლეტიცია და მისი მგლები" 12.10 მხ/ფ "გულის მოგზაურობა" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "ლოს ანჯელესის პოლიცია" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40, 03.35 ქრონიკა 10.05 სერ. "უდანაშაულო" 11.20 სერ. "ივნისის ღამე" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღალატი" 17.35 სერ. "ქალის ხვედრი" 18.45, 19.03 სერ. "დაკარგული" 20.55 სერ. "შურისძიება" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "ფედერალური დაცვა" (ა.ასანტე) 01.55 მხ/ფ "უნივერსალური ჯარისკაცი 3" (დ.ლუნდგრენი) 03.45 ფარული კამერა

06.00, 16.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. "მოჯადოებულები" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 22.00 მარაო 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "ველური ბუნება" 07.45 დ/ფ "უბისა" 06.50 მხ/ფ "ლომა, დავიწყებული მეგობარი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 13.20 დ/ფ "ვანის ნაქალაქარი" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ერთი წვეთი 15.20 სპექტაკლი - 16.20 ქრისტიანული სწავლება I გად. 16.35 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ.გვასალია) I კვირა 16.55 კონცერტი - შალეგ შილაკაძე "გალობანი სინანულისანი" 18.05, 00.30 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "ოთარაანთ ქვრივი" 20.40 ძილი ნებისა 21.30 პატერიკი 21.35 ღვთის სახლი 21.50 ამბიონი 22.25 დ/ფ "არტერია" - ფშავი IV ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სალვთისმსახურო წელიწადი I გად. 23.35 დ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35 გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 0.30 "მაესტროს ახალი ამბები"

## სამშაბათი 3 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" 11.00, 03.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 14.20 "მეხსიერება" 15.00, 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ "მამა მია!" (პ.ბროსნანი) 00.50 მხ/ფ "შეყვარებული შექსპირი" (ჯ.ფაინსი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა". 11.00 დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" 14.00, 16.00 ტ/სერ. "ლოს ანჯელესის პოლიცია" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.30 ქრონიკა 10.05 სერ. "უდანაშაულო" 11.20 სერ. "ივნისის ღამე" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღალატი" 17.35 სერ. "ქალის ხვედრი" 18.45 სერ. "დაკარგული" 19.03 სერ. "დაკარგული" 20.55 სერ. "შურისძიება" 22.00 ორი ვარსკვლავი 00.00 მხ/ფ "ბედს ვერ გაექცევი" (ვ.ჰარილსონი) 01.55 მხ/ფ "ფედერალური დაცვა" (ა.ასანტე) 03.40 ფარული კამერა

06.00, 16.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. "მოჯადოებულები" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 20.50 ეროვნული ლატარეა22.00 არჩევანი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 ეთნოგრაფია 06.55 სპექტაკლი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 დ/ფ "არტერია" - ფშავი IV ნაწ. 11.05 დ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" 11.30 ამბიონი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "ოთარაანთ ქვრივი" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ერთი წვეთი 15.20 ქრისტიანული სწავლება II გად. 15.35 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.05 კონცერტი - მუსიკალური ცენტრი (ხელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილი) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მოკ/ფ "ადგილის დედა" 19.45 პირველშეწირულის წირვის განმარტება (მამა ბიძინა გუნია) I გად. 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი საგანძური 23.40 დ/ფ "პოდმანიე" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.05 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35 გადაცემა "NX-სპიკერი" 16.05, 17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 0.30 "მაესტროს ახალი ამბები"

## ოთხშაბათი 4 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.30 "პირადი ექიმი" 11.00, 02.10 "სამოთხის ვაშლები" 12.40, 03.10 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 14.20 "მეხსიერება" 15.00, 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 მხ/ფ "ბოლო გასეირნება" 23.30 მხ/ფ "კოტონ მერი"

08.00, 10.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55, 04.05 ქრონიკა 10.05 სერ. "უდანაშაულო" 11.20 სერ. "ივნისის ღამე" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღალატი" 17.35 სერ. "ქალის ხვედრი" 18.45 სერ. "დაკარგული" 19.03 სერ. "დაკარგული" 20.55 სერ. "შურისძიება" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 მხ/ფ "ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (ა.ბოლდუინი) 02.05 მხ/ფ "შურისძიება" (მ.სტოუ) (ტიტ.)

06.00, 16.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. "მოჯადოებულები" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 22.00 "ნანუკას შოუ" 23.30 მხ/ფ. 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 პირველშეწირულის წირვის განმარტება (მამა ბიძინა გუნია) II გად. 07.00 ჩვენი საგანძური 07.25 მწვანე არქიტექტურა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დ/ფ "პოდმანიე" 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.55 მოკ/ფ "ადგილის დედა" 13.15 ქვიშით ნამბობი 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ერთი წვეთი 15.20 ქრისტიანული სწავლება III გად. 15.35 კონცერტი - ანჩისხატის გუნდი "ნადი" 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "სანამ წვიმა გადიოდეს" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საქართველოს ქალაქები 23.35 დ/ფ "ჩუქურთმა" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35 გადაცემა "NX-სპიკერი" 16.05, 17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე"

## ხუთშაბათი 5 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.50 "პირადი ექიმი" 11.00, 03.30 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 14.20 "მეხსიერება" 15.00, 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ "გიგანტური"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "პრალა" 11.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 14.00, 16.00 ტ/სერ. "ტაქსისტი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35, 02.20, 04.15 ქრონიკა 10.05 სერ. "უდანაშაულო" 11.20 სერ. "ივნისის ღამე" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღალატი" 17.35 სერ. "ქალის ხვედრი" 18.45, 19.03 სერ. "დაკარგული" 20.55 სერ. "შურისძიება" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "დაუჯერებელი სიყვარული" 02.30 მხ/ფ "წყვდიადის სამეფო: ევოლუცია"

06.00, 16.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო "პუუუ" 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. "მოჯადოებულები" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 22.00 პროფილი 23.30 მხ/ფ. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "ჩუქურთმა" 06.55 დ/ფ "ახალმოწამენი" 07.35 საქართველოს ქალაქები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 "ივერიის ეკლესია" 11.00 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "სანამ წვიმა გადიოდეს" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ერთი წვეთი 15.20 ქრისტიანული სწავლება IV გად. 15.35 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.05 კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი 17.30 დ/ფ "მცხეთის ჯვარი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.15 მოკ/ფ "ლახტი" 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" 22.25 დ/ფ "სამი საქართველო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "ბროლის ნიღაბი" 7.55 "საქმიანი დილა" 10.00 "მაესტროს ახალი ამბები" 10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35 გადაცემა "პულსი" 16.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე"

## პარასკევი 6 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.45 "პირადი ექიმი" 11.00, 02.25 "სამოთხის ვაშლები" 12.40, 03.25 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 14.20 "მეხსიერება" 15.00, 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ: I სტუდია 00.00 მხ/ფ "გამოცხადება"

08.00, 10.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55, 04.15 ქრონიკა 10.05 სერ. "უდანაშაულო" 11.20 სერ. "ივნისის 14.40 სერ. "ღალატი" 17.35 სერ. "ქალის ხვედრი" 18.45, 19.03 სერ "დაკარგული" 20.55 სერ. "შურისძიება" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "ლომის გული" (ჟ.-კ.ვან-დამი) 02.05 მხ/ფ "დაუჯერებელი სიყვარული" (ს.სტალონე)

06.00, 16.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. "მოჯადოებულები" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 4 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "სამი საქართველო" 07.05 დ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 11.10 ღვთის სახლი 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები. 13.00 მოკ/ფ "ლახტი" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ერთი წვეთი 15.20 ქრისტიანული სწავლება V გად. 15.35 კონცერტი - საგუნდო მუსიკის დასკვნითი ფესტივალი 16.40 ქვიშით ნამბობი 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 შაბათის სახარების განმარტება - II კვირა 23.30 თბილისის ტაძრები 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "ბროლის ნიღაბი" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35 გადაცემა "ქალაქი და ადამიანი" 16.05, 17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 7 მარტი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "საიდუმლო ბაღში დაბრუნება" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "უკანასკნელი საზღვარი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" 14.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო 16.30 "გურმანია" 17.00 ქართ. მხ/ფ "ცისკრის ზარები" 18.30 "ჩვენი ეზო" 19.00, 02.00 "ეტალონი" 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "სინანული" 03.00 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი"

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "სტამბული" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" 13.00 მხ/ფ "მაკარტური" 15.05 დ/ფ "კიდევ სცადე" 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 დ/ფ "ფერების სამყარო" 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ "კამერა" 22.00 ტ/სერ. "ანგელოზის სახე" 23.00 მხ/ფ "სიყვარულის ზღვა" (ალ პაჩინო)

07.30 სერ. "სონის შანსი" 08.00 მხ/ფ "12 საჩუქარი ნატვრა" 10.00 სერ. "რობინ ჰუდის თავგადასავალი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ. "ღალატი" 17.35 სერ. "ქალის ხვედრი" 18.45, 19.03 სერ. "დაკარგული"20.55 სერ. "შურისძიება" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ 2" 5 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "კომანდო" 01.20 მხ/ფ "რა იქნებოდა" 02.55 მხ/ფ "ლომის გული"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ. 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 სერ. "სამზარეულო" 1-2 (სეზ.1) 15.30 მარაო 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 22.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 5 (სეზ.7) 23.30 მხ/ფ. 02.00 მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ყველაზე,ყველაზე" 07.00 თბილისის ტაძრები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 07.45 შაბათის სახარების განმარტება - I კვირა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "ჩვენი საგანძური" . გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 მხ/ფ "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 13.25 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ქრისტიანული სწავლება VI გად. 15.20 ოპერა - მოცარტი "რექვიემი" დირ. კლაუდიო აბატო (საუბრობს ჟან-ლუკა მარჩიანო) 17.20 დ/ფ "ვარძია" 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 "თვენი" დ/ფ "ცხრა კოლაელი ყრმა" 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან. 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" 00.35 დროის ჩანაწერები. 01.20 მხ/ფ "გლადიატორი".

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "ბროლის ნიღაბი" 9.00 სერიალი "კარმა" 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00 სერიალი "რვაფეხა" 12.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00 მხ/ფ "სამოთხის ტყვეები".

## კვირა 8 მარტი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "უფლისწული და მათხოვარი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "უკანასკნელი საზღვარი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 "ქართული ჯარი" 13.30 "ვაშინგტონი დღეს" 14.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო 16.30 "გურმანია" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.00 მხ/ფ "შარადა" (ო.ჰეპბერნი) 20.30 "ტელებლოგი" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 მხ/ფ "აფრიკიდან" (რ.რედფორდი) 01.40 მხ/ფ "მერვე გვერდი" 03.20 "შეხვედრები მწერალთა სახლში"

08.00 დ/ფ "ფერების სამყარო" 09.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 მხ/ფ "ძიძა მაკფი" 11.30 დ/ფ "რომი" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 17.00 "აფხაზეთი" 18.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი – გაგრძელება) 22.00 ტ/სერ. "ბედისწერის აჩრდილი" 23.00 მხ/ფ "სიყვარულის ზღვა" (ალ პაჩინო)

07.30 სერ. "სონის შანსი" 08.00 მხ/ფ "სონედორი" 10.00 სერ. "რობინ ჰუდის თავგადასავალი" 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ 2" 5 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.30 იმედის გმირები 14.45 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.25 ერთხელ საქართველოში 17.30 ორი ვარსკვლავი 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "გაქცეული პატარძალი" (რ.გირი) 01.30 მხ/ფ "გობლინი" (კ.სალივანი) 03.00 მხ/ფ "კომანდო"(ა.შვარცენეგერი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ. 11.00 ეკივოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 22.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 6 (სეზ.7) 23.30, 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ "სინემა" 13.20 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.45 "თვენი" დ/ფ "ცხრა კოლაელი ყრმა" 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.50 ეპოქის სახელები 17.15 დიდი მარხვა - გრიგოლ პალამა (მამა მაქსიმე) 18.30 დროის ჩანაწერები 19.15 მხ/ფ "ნუცას სკოლა" 21.35 დ/ფ "თეოდორე ტირონი" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "გლადიატორი"

მაესტრო 7.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "ბროლის ნიღაბი" 9.00 სერიალი "კარმა" 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00 სერიალი "რვაფეხა" 12.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 15.35 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 16.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 18.30 გადაცემა "მონიტორი" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ"

## ასტროპროგნოზი

**28 თებერვალი – სახლის დღე**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ნურავის ენდობით, თქვენთვის იყავით. **ტყუპები** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – ცხოვრება გეცვლებათ და ეს თქვენთვის ძალიან კარგია. **ლომი** – გახარებული ხართ, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით, ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** – პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** – ჩაფიქრებული ხართ, გამხიარულდით. **თხის რქა** – რჩევას გეკითხებიან, მაგრამ მაინც თავისებურად მოქმედებენ. **მერწყული** – საქმე ბევრია, ამიტომ დრო გაანაწილეთ. **თევზები** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

**1 მარტი – შემოქმედებითი დღე**

**ვერძი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** – ყურადღების ცენტრში ხართ, ამის გამო პრობლემები გაქვთ. **კირჩხიბი** – შეხვედრა დიდ შედეგს მოიტანს, გახარებული ხართ. **ლომი** – ფული გაქვთ, მაგრამ ბევრი მუშაობა გელით. **ქალწული** – წარმატება მოვა, მთავარია, არ შეშინდეთ. **სასწორი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია, არ მოდუნდეთ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** – თქვენთვის მნიშვნელოვანი შედეგია, ამიტომაც შრომობთ ბევრს. **მერწყული** – არ აყვეთ პროვოკაციას, ასე აჯობებს. **თევზები** – საკუთარ ნიჭს დღეს გამოავლენთ, გილოცავთ!

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კიევში სამართალდამცველებმა აქცია ძალის გამოყენებით დაშალეს

უკრაინის დედაქალაქ კიევში ეროვნული ბანკის შენობასთან საპროტესტო აქცია სამართალდამცველებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. ამის შესახებ „უნიანი" იტყობინება. მოსახლეობა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და ფინანსური ვითარების გასაპროტესტებლად შეიკრიბა.

აქციის დაშლა პოლიციამ ხელკეტებით სცადა, დემონსტრანტების კარვები კი ბულდოზერებით აიღეს. დაშავდა 10-მდე ადამიანი.

როგორც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებით გამოყენებასთან დაკავშირებით მათ უკვე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. კიევში დემონსტრანტები უკვე რამდენიმე დღეა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის, ვალერია ჰონტარევას გადადგომას ითხოვენ. ბოლო პერიოდში მოსახლეობის გაღიზიანება ეროვნული ვალუტის მკვეთრად გაუფასურებამ გამოიწვია. გრივნას ფასი დოლართან მიმართებაში 2014 წლის განმავლობაში 50 პროცენტით დაეცა.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი სამართალდამცველების ქმედების გამო უკრაინელებს ბოდიშს უხდის.

ამასთან, ავაკოვის გადაწყვეტილებით, კიევში, ეროვნული ბანკის შენობასთან მომხდარ ინციდენტის გამოძიების მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც შს მინისტრის ორი მოადგილე – ეკა ზღულაძე და სერგეი იაროვი – უხელმძღვანელებს.

– პირველ რიგში, ბოდიშს ვუხდი მთელ ქვეყანას მილიციის არაპროფესიონალური ქმედებისა და საშინელი სცენის გამო ეროვნული ბანკის შენობასთან. ამ ღამით მომიტინგეებთან მივედი და პირადადაც მოვუბოდიშე. მომხდარის გამოძიება დავიწყეთ, რომლის შედეგი 48 საათის განმავლობაში განსაჯაროვდება. იმუშავებს კომისია მინისტრის ორი მოადგილის – ეკა ზღულაძის და სერგეი იაროვის ხელმძღვანელობით. შეტაკების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. კიევის პეჩერის რაიონის განყოფილების უფროსი თანამდებობიდან გათავისუფლებულია, ხოლო მისი მოადგილე კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე უფლებამოსილებას ჩამოშორებულია, – აცხადებს ავაკოვი.

# „ოსკაროსან" მსახიობს კაბა მოჰპარეს



ჰოლივუდის მსახიობი ლიუპიტა ნიონგო მძარცველების მსხვერპლი გახდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ოსკარის" მფლობელ მსახიობს, რომელიც მან ფილმში „მონობის 12 წელი" როლის შესრულებისთვის მიიღო, მარგალიტებით დამშვენებული კაბა მოჰპარეს.

ინციდენტი ლოს-ანჯელესის სასტუმრო ლონდონ უესტ ჰოლივუდში მოხდა. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძარცვა 25 თებერვალს მოხდა. პოლიციის ვარაუდით, მძარცველებმა ნომერში მსახიობის არყოფნით ისარგებლეს და შიგნით შეაღწიეს. სამართალდამცავი ორგანოები უკვე შეუდგნენ სასტუმროს სათვალთვალო კამერების ჩანაწერების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ლიუპიტა სწორედ ამ კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე. კაბა 150 ათას დოლარადაა შეფასებული.

ლიუპიტა ნიონგოს დებიუტი დიდ ეკრანზე 2013 წელს შედგა. მან სტივ მაკკუინის ფილმში „მონობის 12 წელი" ერთ-ერთი როლი შეასრულა.

# კულინარიული წიგნი ტერორისტების ცოლებისთვის

ფონდმა „ზორამ", რომელიც ქალებს შორის „ისლამური სახელმწიფოს" პროპაგანდითაა დაკავებული, გამოსცა წიგნი, რომელშიც იმ კერძების რეცეპტებია მოყვანილი, რომლებიც ჯიჰადისტებს ბრძოლაში დაეხმარებათ.

წიგნში, კერძოდ,მოყვანილია ბლინებისა და „ფინიკის ბურთულების" რეცეპტები. ორივე კერძის შემადგენლობაში შედის ფქვილი, რძე და ნაღების კარაქი. ამ კერძების მიღებას ყავასთან ან წყალთან ერთად ბრძოლებს შორის შესვენების დროს ურჩევენ.

– ისინი მნიშვნელოვანი რაოდენობის კალორიებს შეიცავს და ჯიჰადისტს ძალასა და ენერგიას მატებს. – წერია რეცეპტების აღწერაში.

კულინარიული წიგნი, ისევე, როგორც ფონდ „ზორას" ყველა სხვა მასალა, არაბულ ენაზეა გამოცემული.

# პოლონელი ღვთისმსახური მარიხუანას მოწევისთვის დააკავეს

პოლონეთის ქალაქ გლივიცეს ეკლესიის ღვთისმსახური მარიხუანას მოწევისთვის იქნა დაკავებული. პოლიციელებმა 26 წლის კათოლიკე ღვთისმსახური ორ 16 და 17 წლის მოზარდებთან ერთად, რომლებიც ეკლესიაში მსახურობენ, ქალაქის გარეუბანში გაჩერებულ ავტომობილში ნახეს. იმ მომენტში ისინი მარიხუანას ეწეოდნენ. სამართალდამცავებმა მანქანის დათვალიერების დროს მის სალონში კიდევ 2,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩინეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ დაკავებული გლივიცეს წმინდა ბართლომეს ეკლესიის ღვთისმსახური იყო. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის წინამძღვარმა მეუფის დაკავების შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებისგან შეიტყო, მაგრამ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. უცნობია, თუ რა სასჯელი ემუქრებათ დაკავებულებს. პოლონეთის სილეზიის ვოევოდინაში მდებარე ქალაქ გლივიცეში დაახლოებით 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს. წმინდა ბართლომეს ეკლესია 1232 წელს დაარსდა.

# მშობლებს შვილი ექვსი წელი სარდაფში ჰყავდათ გამომწყვდეული



ჩინეთში მშობლებმა თავიანთი გოგონა სახლის სარდაფში ექვსი წლით გამოამწყვდიეს იმის გამო, რომ მათ მისი მეგობარი ყმაწვილი არ მოეწონათ. აღნიშნული ინციდენტი ჩინეთის ხუბეის პროვინციის სოფელ ჟინგანგში მოხდა.

გოგონას ფოტოსურათი, რომელიც ანტისანიტარიულ პირობებში იმყოფება, ინტერნეტში ადგილობრივმა მცხოვრებმა ჩოუ ჯენმა გამოაქვეყნა. 50 წლის მამაკაცმა განაცხადა, რომ ჩუან ცი სარდაფში 2009 წელს მას შემდეგ ჩაკეტეს, როდესაც მან რამდენჯერმე ცადა სახლიდან თავის შეყვარებულთან გაქცევა. მშობლები ამტკიცებენ, რომ გოგონა მისივე უსაფრთხოებისთვის ჩაკეტეს, ვინაიდან ის ფსიქიკურადაა დაავადებული.

ჩოუ ჯენმა ასევე განაცხადა, რომ პოლიციამ ამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო. ამასთან, მამაკაცმა დააზუსტა, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა გოგონას სარდაფში გამომწყვდევის შესახებ ყველაფერი თავიდანვე იცოდნენ, მაგრამ გოგონას გავლენიანი მშობლების გამო ინფორმაციას მალავდნენ.

– როდესაც ბოლოს მოვინახულე ჩუან ცი, ის თივის პატარა ზვინზე იწვა, საბანი ეფარა, გარშემო კი პროდუქტები იყო მიმოფანტული. – აღნიშნა ჩოუ ჯენმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას შემდეგ, რაც გოგონას ისტორია საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ჩინელმა ცენზორებმა ინტერნეტიდან ჩუან ცის ფოტოსურათების წაშლა დაიწყეს. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები აღნიშნული ინციდენტის კომენტარზე უარს აცხადებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი



***

პატარა ბავშვს ეკითხებიან:

– რა განსხვავებაა იმ ბავშვებს შორის, რომლებიც წერომ მოიყვანა და რომელიც კომბოსტოში იპოვეს?

– ერთნი არწივებად იზრდებიან, მეორენი – თხებად!

***

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– საინტერესოა, ვისთან ულალატა ადამმა ევას, თუ ჩვენ მაიმუნებისგან წარმოვიშვით?

– ჰოო, საინტერესოა, როგორი შეუხედავი იყო ევა, ადამმა, მას მაიმუნი რომ ამჯობინა?!

***

სამსახურიდან მოსულმა კაცმა სასწრაფოდ ისადილა, ტანსაცმელი გამოიცვალა და სახლიდან გასვლა დააპირა, ამ დროს ცოლი ეკითხება:

– საით გაგიწევია?

– დოღზე.

– ახლახან შენმა ფაშატმა დაგირეკა და დაგიბარა, რომ მალე კვიცს ელოდება...

***

რა განსხვავებაა მამაკაცისა და ქალის ლოგიკას შორის?

– მამაკაცის სწორია, ქალის – საინტერესო.

***

დილით რუსი მეგობარს ურეკავს:

– გუშინ ლუდი დალიეთ?

– დავლიეთ!

– არაყი?

– დავლიეთ!

– კონიაკი?

– ეგეც დავლიეთ!

– რაკეტის საწვავი?

– ეგეც!

– ამ დილით ტუალეტში იყავი?

– არა.

– არ შეხვიდე, ახლა ტოკიოდან გირეკავ!!!

***

ზოოპარკის ადმინისტრაციას აღშფოთებული დამთვალიერებელი მიმართავს:

– რა სისაძაგლეა, ვოლიერში დათვებს ინტიმური კავშირი აქვთ ერთმანეთთან და ამას ბავშვები უყურებენ!

– თქვენ ისეთი აღშფოთებით ლაპარაკობთ, თითქოს ყველაფერი პირიქითაა!!!

***

გოგონებო, სანამ პრინცის ძებნას შეუდგებოდეთ, შეეცადეთ, საკუთარი თავი პრინცესას დაამსგავსოთ – პრინცებს ცხენები უკვე ჰყავთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## სამგლოვიარო განცხადებები



78 წლის ასაკში ჩვენს სანათესაოს გამოგვაკლდა ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანი, ჩემი ბავშვობის მეგობარი და მამიდაშვილი

**ჯუმბერ დაშნიანი**

მან დიდი ტკივილი მომაყენა როგორც მე, ისე ჩემს ოჯახსა და მის ერთადერთ ქალიშვილ ნანა დაშნიანს.

მსუბუქი იყოს, ჩემო ჯუმბერ, შენთვის საქართველოს მიწა, რომელშიც უნდა განისვენო. უფალი გფარავდეს ცათა სასუფეველში!

შენი უსაყვარლესი ბიძაშვილი ჯემალ ტყეშელაშვილი

და ირინა ანდრონიკაშვილი, სიძე ლევან ქორქია, დისშვილები ირაკლი, კონსტანტინე, რძლები შორენა, თამარი, დის შვილიშვილები ირინა, ანა, მარიამი, ელენე, ლევანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე კონსტანტინეს ასული ანდრონიკაშვილი**

პანაშვიდი: 27, 28 თებერვალს, 18 საათზე.
დაკრძალვა: 1 მარტს, 14 საათზე.
მისამართი: ივანე ჯავახიშვილის ქ. №37/2.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 9. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ქართული რადიო; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი; 15. თბილისის მმართველი IX-XII საუკუნეებში.

**თარაზულად:** 1. მეცნიერება მხატვრული ლიტერატურის შესახებ; 6. მინიატურების ქართული თეატრის ფუძემდებელი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპული ჩანასახი გამრავლებისთვის; 13. მოკლევადიანი ქართული ხმალი; 14. ჯარების მართვის ორგანო; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 16. ძვირფასი ლითონი; 18. ფიგურული სახაზავი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გერმანია; 2. ვარდი; 3. დეკანოზი; 4. კეხურა; 7. ებანი; 9. ქსანი; 12. აგლომერატი; 14. რეკეტი; 15. კრაკოვი; 17. მოლუსკი; 20. ტენგე.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 6. ბიენალე; 8. ჭიდაობა; 10. ჟანგბადი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. პოემა; 19. გაუკი; 21. ნესტლე; 22. კვადრიგა; 23. პარკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ოდა; 3. ჩოჩიშვილი; 4. აჯიკა; 5. ჰორაციო; 8. როსი; 9. იაგუნდი; 10. ბაიადერა; 12. მინსკი; 13. გრაფი; 15. იჯარა.

**თარაზულად:** 1. შავლეგო; 6. სოლფეჯიო; 7. ჰერტა; 10. ბრიჯი; 11. ასთმა; 13. გაუდა; 14. ელისო; 16. სოდა; 17. იადგარი; 18. არმანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2635

ევრო — 2.5675

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5089

100 რუსული რუბლი — 3.6338

**ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის**





**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**45 ლარი 90-ის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**45 ლარი 95-ის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**ტიტანის სამკურნალო სამაჯური**
**35 ლარი 60-ის ნაცვლად**



არეგულირებს არტერიულ წნევას, ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა და თავის ტკივილს, აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას, ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.


# რატი დურგლიშვილი საქართველოდან მიდის?



მას შემდეგ, რაც დუეტ „ჯორჯიას" დაშლის შესახებ გახდა ცნობილი და საზოგადოებას რატი დურგლიშვილმა თავისი ახალი სიმღერა წარუდგინა, აქტიურად ალაპარაკდნენ რატის საქართველოდან წასვლის შესახებ.

როგორც მომღერალი აცხადებს, სოლო კარიერის დაწყება მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ბევრი საკუთარი სიმღერის დაგროვების შემდეგ, რატიმ ალბომის ჩაწერა გადაწყვიტა და სიმღერები ევროპაში ჩაწერა.

თავად მომღერალი არ გამორიცხავს, რომ კარიერა ევროპაში გააგრძელოს, რადგან იქ არსებულ ხმის ჩამწერ სტუდიებთან უკვე აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა მანამდე ქართველ საზოგადოებას თავისი ახალი ალბომი „სევენ" (შვიდი) უნდა წარუდგინოს, რომელიც გაზაფხულიდან გამოჩნდება გაყიდვაში.

რატი დურგლიშვილი:

– დიდი ხნის ოცნება ავიხდინე და სოლო კარიერა დავიწყე. დუეტი „ჯორჯია" ჩემს შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, იმიტომ, რომ მასთან ბევრი წარმატება

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# გერმანიაში რურის დერბია, იტალიაში ლიდერების ჯახი



**ინგლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.01 | ვესტ ჰემი-კრ.პალასი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 28.01 | ბარნლი-სუონსი | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 28.01 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1.36 | 4.6 | 9.0 |
| 28.01 | სტოკი-ჰალი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 28.01 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 28.01 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 01.01 | ლივერპული-სიტი | 2.87 | 3.4 | 2.27 |
| 01.01 | არსენალი-ევერტონი | 1.55 | 4.0 | 6.0 |

**ვესტ ჰემი-კრ.პალასი**

ვესტ ჰემი: *ტრავმა*-კარლტონ კოული, ენდი კეროლი

კრ.პალასი: *ტრავმა*-მარუან შამახი, ფრეიზერ კემბელი, იაია სანოგო, ჯეიმს მაკარტური, ჯერომ ტომასი, ჯონათან უილიამსი

**ბარნლი-სუონსი**

ბარნლი: *ტრავმა*-დონ მარნი, კევინ ლონგი, მეთიუ ტეილორი

სუონსი: *ტრავმა*-არავინ

**მანჩესტერი-სანდერლენდი**

მანჩესტერი: *ტრავმა*-ჯეიმს უილსონი, რობინ ვან პერსი, მაიკლ კერიკი

სანდერლენდი: *ტრავმა*-ჯეკ როდველი, ბილი ჯონსი, უილიამ ბაკლი, ემანუელ გაჩერინი

**სტოკი-ჰალი**

სტოკი: *ტრავმა*-მარკ მუნიესა, რაიან შოუკროსი, ბოიან კრკიჩი, პიტერ ოდემვინგი

ჰალი: *ტრავმა*-ლიამ როსენორი, ჯეიმს ჩესტერი, მოჰამედ დიამე, რობერტ სნოდგრასი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ნაომი ქემპბელი ოპერატორს თავს დაესხა



ბრიტანელი მოდელი ნაომი ქემპბელი ამერიკული ტელეარხის ენ-ბი-სი ნიუსის ოპერატორს თავს დაესხა. ინციდენტი კუბის დედაქალაქ ჰავანაში სასტუმრო ჰავანას მახლობლად მოხდა, სადაც ის 26 თებერვალს დაბინავდა.

ქემპბელის გაბრაზება ვიდეოკამერის ობიექტივში მისმა იმ დროს მოხვედრამ განაპირობა, როდესაც მოდელი სასტუმროდან გამოდიოდა. მოდელმა სახეზე ქუდი აიფარა და ოპერატორს მიეჭრა. მან რამდენჯერმე მოსთხოვა ოპერატორს, რომ მას გადაღება შეეწყვიტა, შემდეგ კი ვიდეოკამერას დაარტყა.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე საათში მოდელმა ტელეარხს თავისი საქციელის გამო მოუბოდიშა.

– პატიებას ვითხოვ იმისთვის, რაც მოხდა. ეს დიდი გაუგებრობა იყო, – განაცხადა ქემპბელმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქემპბელი სკანდალში ეხვევა საკუთარი თავშეუკავებელი საქციელის გამო. მაგალითად, ლანძღვა-გინებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების გამო მოდელს უჩივლეს მისმა მძღოლმა, რამდენიმე შინამოსამსახურემ; ერთხელ ნაომი თავის ექიმ-ნარკოლოგს ეჩხუბა, რამდენიმე სკანდალი მოაწყო მალაზიებში და ლონდონის აეროპორტ ჰიტროუში პოლიციელებს თავს დაესხა, რისთვისაც მას 200 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება დაეკისრა.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მოკარნახე თეატრში; 2. ასაფეთქებელი ჭურვი; 3. გონებასუსტი ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

**თარაზულად:** 5. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 6. მე-14 საუკუნის ქართველი ფერმწერი, მოხატა უბისის მონასტერი; 8. ტვინის შერყევა; 10. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 11. მონარქიული სახელმწიფო აზიაში; 13. გერმანული ლუდი; 16. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 18. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 19. ქვეწარმავლის შხამი; 21. რაიონული ცენტრი კახეთში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




www.abdiibrahim.com.tr

დაიცავით „ზამთრის ინფექციებისგან" თქვენი ოჯახი ერთგული მეგობრების დახმარებით

**ბენეტი** ორალური სპრეი

**ბენეტი პლიუსი** ორალური სპრეი



ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ლეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიამოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/II

PSP №1

ABDI IBRAHIM



**ბენეტი**
ბენზიდამინი

**ბენეტი პლიუსი**
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი